

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მაგისტრანტი: ლალი ონიანი

სამაგისტრო ნაშრომი:

სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება,  
როგორც საპროცესო შეთანხმების საფუძველი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

პროფესორი: ვენედი ბენიძე

თბილისი, 2020

წელი

## სარჩევი

ანოტაცია.....	3
Annotation .....	4
შესავალი .....	5
თავი I. სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება, ზოგადი მიმოხილვა საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებაში .....	11
1.1 სამართლიანი პროცესი .....	11
1.2 სწრაფი მართლმსაჯულება .....	15
თავი II მართლმსაჯულების გაჭიანურება როგორც პრობლემა.....	21
2.1. მართლმსაჯულების გაჭიანურების მიზეზები.....	21
2.2 საქმის განხილვა გონივრულ ვადაში .....	24
2.2.1 საქმის სირთულე:.....	26
2.2.2 დაცვის მხარის ქცევა.....	28
2.2.3 პროცესის მწარმოებელი ორგანოს ქმედებები: .....	30
2.3 პრიორიტეტულად სწრაფად განსახილველი სამქეები .....	31
თავი III. საპროცესო შეთანხმება, როგორც სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა .....	33
3.1 საპროცესო შეთანხმების განვითარების ისტორია საქართველოში.....	33
3.2 საპროცესო შეთანხმების არსი.....	43
3.2 საქართველოს მაგალითზე დაზარალებულის როლი საპროცესო შეთანხმებაში .	45
3.3 რატომ თანხმდებიან ბრალდებულები საპროცესო შეთანხმებას? .....	47
თავი IV. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.....	51
4.1. ელექტრონული მართლმსაჯულების განვითარების ისტორია საქართველოში .	51
4.2. საპროცესო შეთანხმება ელექტრონულად .....	53
თავი V. კვლევის შედეგები .....	62
5.1 დასკვნა.....	62
გამოყენებული ლიტერატურა .....	65
მონოგრაფიები .....	65
უცხოური ლიტერატურა .....	66
სასამართლო პრაქტიკა.....	66
ნორმატიული აქტები .....	67
რეკომენდაცია:.....	67

ბრძანება: .....	68
განცხადება: .....	68
ვებ.გვერდები .....	68
წერილი: .....	69
ჟურნალ-გაზეთები:.....	69

## ანოტაცია

დავიწყეთ იმით, რომ ეს საკითხი მრავლის მომცველი, სიღრმისეული და ძალზედ ზოგადია. ამ სირთულიდან გამომდინარე მოცემული ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების სრულყოფილი ანალიზი.

საქართველო დიდი წარსულისა და გამოცდილების ქვეყანაა, რომელიც მუდმივა განიცდიდა და დღემდე განიცდის გარკვეულ რეფორმებს. მოცემულ ნაშრომში, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით განხილულია საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი საპროცესო შეთანხმება, რომელიც საზოგადოებასა და სამართლის სფეროში მუდმივი კრიტიკისა და დავის საგანია. უფრო კონკრეტულად კი ნაშრომში განხილულია საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება საპროცესო შეთანხმება სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს მაშინ, როცა წინააღმდეგობაში მოდის სხვა სამართლებრივ პრინციპთან.

გარდა ამისა მოცემული ნაშრომში შეხვდებით საკითხს, რომელმაც თავი იჩინა მსოფლიოში არსებული პანდემიის პერიოდში, კერძოდ კი შევეცადე მეჩვენებინა თუ რა საფრთხის წინაშე დადგა მართლმსაჯულება, რა ცვლილებები გახდა საჭირო და რამდენად მზად იყო საქართველო მსგავს სიტუაციასთან გასამკლავებლად. ნაშრომში საუბარია იმაზე, თუ რამდენად შეიძლება დაინერგოს საპროცესო შეთანხმების ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებებით გაფორმება, მაშინ როცა თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში შეინიშნება სწრაფი სამართალწარმოების დანერგვის მცდელობა, ხოლო მსგავსი სიახლე უზრუნველყოფს დროის, ენერჯისა და სხვა საშუალებების დაზოგვას.

მოცემული ნაშრომის წერის პარალელურად შევხვდი, როგორც პროკურორებს ისევე ადვოკატებს, რომ გამეგო მათი დამოკიდებულება და შეხედულებები საპროცესო შეთანხმების ინტერნეტ კომუნიკაციის წყაროთი მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელის თაობაზე მოვისმინე მოქმედი მოსამართლეების დამოკიდებულებაც.

საერთო ჯამში კი მიღწეულ იქნა მიზანი, განსახილველი ნაშრომი იძლევა საშუალებას გაეცნოთ საპროცესო შეთანხმებას, რომელიც მიუხედავად იმ წლებისა რასაც მისი გაჩენა სპროცესო კანონმდებლობაში ითვლის, დღემდე კრიტიკის საფუძველია და თვალი გადაავლოთ სამომავლოდ პერსპექტივაში საპროცესო შეთანხმების ინტერნეტკომუნიკაციის წყაროთი მოლაპარაკების/გაფორმების შესაძლებლობას, რომელიც არც პირველი და ვფიქრობ არც უკანასკნელი ცვლილება იქნება, მისი დანარგვის შემთხვევაში.

## Annotation

### Fair trial and swift justice as a basis for procedural agreement

Let's begin by saying, that this is an all-encompassing, deep and quite general matter. Due to this complexity the aim of the present work is not a thorough analysis of fair trial and swift justice.

Georgia is a country of an immense past and experience, which constantly underwent and is undergoing certain reforms till this day. Considering today's reality, the given work addresses one of important and relevant subjects of procedural law of Georgia, a procedural agreement, which is a matter of persistent criticism and dispute in society and field of law. More specifically, the work discusses to what extent the procedural agreement corresponds to principle of fair trial and swift justice, when it is in opposition to another legal principle.

Moreover, you will come upon an issue in the present work, which emerged during the pandemic in the world, particularly, I tried to display the threat the justice is facing, what changes became necessary and to what extent Georgia was ready to deal with this situation. The work discusses whether it is possible to implement procedural agreement by means of internet communications when the attempt of executing swift justice in modern criminal procedure has been detected; such novelty ensures saving time, energy and other means.

While compiling the given work, I met prosecutors as well as lawyers in a bid to find out their attitude and viewpoints regarding negotiating and implementing procedural agreement through internet communication sources, on the latter I heard opinions of acting judges.

On the whole, the goal has been achieved, the work to be discussed provides an opportunity to become familiar with procedural agreement, which is still a cause of criticism till this day despite the years since it emerged in procedural legislation and consider the possibility of negotiating/implementing procedural agreement through internet communication sources in future, which, to my mind, will be neither the first nor the last change in case of its execution.

შესავალი

საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოა. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ვხვდებით საქართველოს პირველ, 1921 წლის კონსტიტუციაში მაშინ, როცა ეს პრინციპი ჯერ კიდევ ბევრ ევროპულ სახელმწიფოში არ იყო სათანადოდ აღიარებული.

დღეს 21-ე საუკუნეში, სახელმწიფოები მიიღვიან სრულყოფილებისაკენ და ჩვენი ქვეყანა ვალდებულია ღირსეულად ატაროს სამართლებრივი სახელმწიფოს სტატუსი, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ამისათვის საჭიროა, რომ დაცული იყოს არამხოლოდ კანონის მიღების პროცედურა და საჯაროობა, არამედ მიღებული კანონები უნდა იყოს რაციონალური და შინაარსობრივად შესაბამისი ქვეყნის ძირითად კანონთან კონსტიტუციასთან. კონსტიტუციით თითოეული ჩვენი ქვეყნის მოქალაქე მის მიმართ წარდგენილი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისა აღჭურვილია უფლებით, რაც გულისხმობს საქმის გონივრულ ვადაში განხილვას, კანონის საფუძველზე შექმნილი დამუკიდებელი და მიუკერძოვებელი სასამართლოს მიერ. სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის აუცილებელი წინაპირობაა არსებობდეს უფლება, სიკეთე, ინტერესი რომლის სასამართლო წესით დაცვის საჭიროების აუცილებლობის წინაშეც დგას პროვნება<sup>1</sup>. სამართლიანი პროცესის და სწრაფი მართლმსაჯულების უფლება გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი უფლება, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებების მრავალი რეგიონალური და საერთაშორისო ინსტიტუტებით, სახელმწიფო ცნობს და იცავს ამ უფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებას.

სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი გულისხმობს სამართალწარმოების სისწრაფეს, რომელმაც გავლენა არ უნდა მოახდინოს სამართალწარმოების ჯეროვნად შესრულებაზე და არ გულისხმობს სამართალწარმოების დაყოვნების გარეშე განხორციელებას. დაუშვებელია არალოგიკური სისწრაფით საქმეთა განხილვა, რომელსაც შეეწირება ისეთი ღირებულებები, როგორიცაა

---

<sup>1</sup> საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/8/594, 30 სექტემბერი, 2016

მართლმსაჯულების ხარისხი და საზოგადოების ნდობა. სწრაფი მართლმსაჯულება აუცილებელია იმისთვის, რომ შევძლოთ იმ ზიანის თავიდან აცილება, რასაც მართლმსაჯულების გაჭიანურება აყენებს, მართლმსაჯულების ეფექტიანობას და სარწმუნოებას. გაჭიანურებას კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ბრალდებულის, მხარეების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს მხრიდან.

საქმის განხილვის გაჭიანურება პრობლემაა, არამარტო ბრალდებულის ან ბრალმდებელისათვის, არამედ ქვეყნის განვითარებისა და სამართლიანი სასამართლოს რეპუტაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო დავების განხილვის გაჭიანურების პრობლემა მრავალი წელია ცნობილი და აღიარებულია, პრობლემის გამომწვევი საკითხების სრულყოფილი შესწავლა მეტად რთულია, რადგანაც მას პერიოდული შესწავლა და დაკვირვება სჭირდება, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან. დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის ფონზე, სახელმწიფოს მოეთხოვება შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც ნებისმიერი ადამიანისათვის იქნება სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების გარანტი. თანამედროვე ცხოვრების პირობებში მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების გზა სამართლიან და დროულ მართლმსაჯულებაზე გადის ამდენად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მასზე დაკისრებული ფუნქციის ღირსეულად შესრულება.

ნაშრომში გნვიხილავთ, ქვეყანაში არსებული საგანგებო ვითარების პირობებში, სახელმწიფოს, პროცესის მწარმოებელი ორგანოებისა და მხარეების მიერ გაწეულ ძალისხმევას რათა ბრალდებულის, მსჯავრდებულისა ან გამართლებულის სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას არ დამუქრებოდა საფრთხე, რომელიც ამ უფლებებს შეზღუდავდა.

სისხლის სამართლის პრინციპები ქმნიან ერთიან სისტემას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პრინციპს აქვს განსხვავებული შინაარსი, ისინი მოქმედებენ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. სწრაფი მართლმსაჯულება გულისხმობს საპროცესო ეკონომიკის უზრუნველყოფას დროის, ძალების საშუალებების



დაზოგვას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სასამართლოს მიერ სწრაფად და ეფექტიანად საქმეთა გადაწყვეტა და მხარეებსათვის სათანადო პირობების შექმნა, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოზიციის დაცვა ზედმეტი დროისა და ფინანსური დანახარჯების გარეშე. ამაზე დაყრდნობით ვფიქრობ კარგი იქნება განვიხილოთ პანდემიის პირობებში საქმისმწარმოებელი ორგანოების ელექტრონულ რეჟიმზე გადასვლა, კონკრეტულად კი საპროცესო შეთანხმებაზე ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებით მოლაპარაკება/შეთანხმება, რამდენად შეიძლება დამკვიდრდეს პრაქტიკაში? აღნიშნული კითხვა ჩნდება იქიდან გამომდინარე, რომ ამან თავისუფლად შეიძლება წარმოშვას დროის, ძალების, ფინანსები დაზოგვის ერთგვარი შესაძლებლობა.

მაშინ, როცა თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში შეინიშნება სწრაფი სამართალწარმოების დანერგვის მცდელობა და საპროცესო შეთანხმება არის სწორედ ახალი, საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მსგავსი ინსტიტუტი გვერდს ვერ აუვლით იმ ფაქტს, რომ ეს ინსტიტუტი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის მთელ რიგ ფუნდამენტურ საწყისებს, როგორცაა შეჯიბრებითობის, გარემოებების სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევის, მტკიცებულებათა შინაგანი რწმენის, პროცესის უშუალოობისა და ზეპირობისა და თანასწორობის პრინციპებს, აქედან გამომდინარე იბადება კითხვა არის საპროცესო შეთანხმება ის რასაც სწრაფი მართლმსაჯულება გულისხმობს? მაშინ როცა უკვე დიდიხნის დანერგილ საპროცესო შეთანხმების ირგვლივ იბადება მსგავსი კითხვები, სწორად მიმაჩნია განვიხილოთ სამართალწარმოების კონკრეტული პროცესების, თუნდაც საპროცესო შეთანხმებების, ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებებით მოლაპარაკებაზე/შეთანხმებაზე გადასვლა, რამაც თავის მხრივ შეიძლება გაამართლოს სწრაფი მართლმსაჯულების მთავარი მიზანი. სამართლიან პროცესის და სწრაფი მართლმსაჯულების ნორმის მიზან, როგორც ვიცით ბრალდებულის უფლებების სასამართლოს მეშვეობით ეფექტიანად და გომივრულ დროში დაცვა წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული პრობლემები მთელი ევროპის მასშტაბით არსებობს, თუმცა მათი გადაჭრის გზები და საშუალებები ქვეყნებს შორის განსხვავებულია. ჩვენი ქვეყნის

მაგალითზე არსებული პრობლემების მოგვარებისა და სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპების გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფისათვის საჭიროდ სწორედ, რომ ამ პრინციპების მაქსიმალურად გამოყენება მიმაჩნია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება მოხდეს მათი საჭიროების შემთხვევაში გაუქმება, განახლება ან ახალი პრინციპის დანერგვა.

**ნაშრომის მიზანია:** საპროცესო შეთანხმებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებების ანალიზი, როგორც მათი კრიტიკა ისე მათი დადებითი მხარეების წარმოჩენა, თეორიტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებების საფუძველზე დაყრდნობით სწორი დასკვნის გამოტანა. ნაშრომის მიზანს აგრეთვე წარმოადგენს აღნიშნული საკითხის მკითხველისათვის სხვა კუთხით წარმოჩენა, მთავარი პრობლემების ხაზგასმა და მათი გადაჭრის პრევენციული გეგმის დასახვა.

**ნაშრომის აქტუალობა:** ქართული კანონმდებლობისათვის არც თუ ისე ახალ ინსტიტუტს წარმოადგენს საპროცესო შეთანხმება, რომელიც არერთხელ გახდა სერიოზული კრიტიკის საგანი, ძირითადად ეს დამოკიდებულება გაჯერებული იყო ლოგიკური კითხვით, რამდენად შეესაბამება იგი სწრაფი მართლმსაჯულებისა და სამართლიანი პრინციპის პროცესს მაშინ, როცა ეწინააღმდეგება არაერთ ძირითად პრინციპს, როგორც გახლავთ თანასწორობის, საჯაროობისა და მკიცებულებათა შინაგანი რწმენით გამოკვლევის უფლებებს.

გარდა ამისა, მაშინ როცა მთელი მსოფლიო მოიცვა პანდემიამ, სხვა სახელმწიფოებთან ერთად ჩვენს ქვეყანაშიც შეიქმნა საგანგებო სიტუაცია, რომელმაც გამოიწვია საპროცესო შეთანხმებებზე მოლაპარაკება/შეთანხმება ინტერნეტ კომუნიკაციის წყაროს მეშვეობით. ნაშრომში განხილულია რამდენად პრაქტიკულია ამ მეთოდის სამომავლო პერსპექტივაში დანერგვა.

**ნაშრომის კვლევის საგანია:** ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპზე დაფუძნებული საპროცესო შეთანხმების პრობლემური საკითხები, რომელთა

შესასწავლადაც კვლევის საგანს წარმოადგენს პროცესების მწარმოებელი ორგანოები, პროცესისი მონაწილე მხარეები და ის თეორიული მასალა სადაც თავმოყრილია ეს საკითხები.

კვლევის მეთოდები: მოცემულ ნაშრომში გარკვეული საკითხების განხილვისას გამოყენებულია სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. გარდა ამისა გამოყენებულია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სამაგისტრო ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას და სასამართლო აქტებს. ინფორმაციულ ბაზას შეადგენს ასევე მეცნიერთა ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები, სასწავლოსამეცნიერო ლიტერატურა და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული სხვადასხვა სტატიები და მასალები. ნაშრომის წერის პროცესში გამოიკვეთა ლიტერატურის არ არსებობის პრობლემა, რადგანაც როგორც უკვე ავლნიშნე ინტერნეტ კომუნიკაციის წყაროების მეშვეობით საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკება/შეთანხმება სიახლეა და მისი აუცილებლობა გამოიწვია ქვეყანაში არსებულმა საგანგებო სიტუაციამ, აქიდან გამომდინარე ჯერ არ არსებობს კონკრეტული ლიტერატურა მოცემულ საკითხზე. ამდენად ნაშრომში ინტერნეტ კომუნიკაციის წყაროს საშუალებით სამომავლო პერპექტივაში საპროცესო შეთანხმების გაფორმებასა თუ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით გამოთქმულია ჩემი შხედულებები, თავს ამის უფლება მივეცი იმის გათვალისწინებით, რომ კრიტიკის საგანი ხდება არა მხოლოდ ახალი ხედვა, არამედ უკვე დიდი ხნის დანერგილი, და პრაქტიკაში დმკვიდრებული ისეთი საკითხი, როგორც საპროცესო შეთანხმებაა. ეს ყველაფერი ერთად კი მკითხველს შეუქმნის

სრულ სურათს მოცემულ თემასთან დაკავშირებით.

## თავი I. სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება, ზოგადი მიმოხილვა საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებაში.

### 1.1 სამართლიანი პროცესი

სამართლიანი პროცესის პრინციპი მიიღწევა სხვა პრინციპების განუხრელი დაცვით, რაც საერთო ჯამში ქმნის ძლიერ, სამართლებრივ სახელმწიფოს. მსოფლიოს მასშტაბით აღიარებულია, რომ სამართლიანი პროცესის პრინციპი და სწრაფი მართლმსაჯულება სახელმწიფოს სარკეა. მოგეხსენებათ, რომ პროცესი- ეს არის რაიმე მოვლენათა თანმიმდევრობა. იურისპრუდენციაში სამართლიან პროცესში იგულისხმება, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანგრძლივობა, წინასასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლოში არსებითი განხილვა,

სააპელაციო და საკასაციო წარმოების ხანგძლივობაც, ჩამოთვლილი ყველა ეტაპის კანონით დადგენილი წესით, სამართლიანად მიმდინარეობა.<sup>2</sup> პროცესი სამართლიანია მაშინ, როცა იგი მიმდინარეობს სამართლებრივი პრინციპების განუხრელი დაცვით. სამართლიანი პროცესის უფლება ვრცელდება, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე.<sup>3</sup> ჩვენს ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფილია კონსტიტუციითა და არა ერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით<sup>4</sup>, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ სკმარისი არ გახლავთ მხოლოდ გაწერილი კანონმდებლობა, აუცილებელია კანონი იყოს განჭვრეტადი, რადგანაც ყვლას არ აქვს იურიდიული განათლება, რომ სწორად შეძლოს თუნდაც სამართლიანი პროცესის არსის გაგება, ამდენად კანონი უნდა იყოს ისეთი, რომ ყველა ადამიანს ესმოდეს მისი შინაარსი, რათა შეძლონ თავიანთი ქმედებების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა ღირსეულად მიეკუთვნებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოების რიცხვს და ეს სტატუსი არ დადგეს ეჭვქვეშ, საჭიროა პრაქტიკული რეალობა სრულად შეესაბამებოდეს, როგორც საერთაშორისო ასევე ქვეყნის კანონმდებლობას, რომელთა მაქსიმალური დაცვაც სამართლიანი პროცესის და სწრაფი მართლმსაჯულების გარანტიაა. საზოგადოებამდე სწორად უნდა მივიტანოთ ძირითადი სათქმელი, რომ სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება უზრუნველყოფს შესაძლებლობას, რასაც საქმის გონივრულ ვადებში და საქვეყნოდ განხილვა ჰქვია, აგრეთვე პროცესის იმ პირების მიერ განხილვას ვინც დამოუკიდებელი, მიუკერძოვებელი და კომპეტენტურია, რომ

---

<sup>2</sup> საქართვეოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები. 2015წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ.2015. გვ-70. მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი.

<sup>3</sup> საქართვეოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები. 2015წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ.2015. გვ-70. მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>4</sup> საქართვეოს კონსტიტუციის 42 მუხლი; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-9 მუხლი, მე-14 მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-5 და მე-8 მუხლები; ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია 47 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია მე-8 მუხლი.

პროცესში იგულისხმება სამართალწარმოების ყველა ეტაპი და არა მარტო სასამართლოში გამართული პროცესი.

დამწყებ იურისტებს, ასევე დაინტერესებულ პიროვნებებს, რომ გაუმარტივდეს სამართლიანი სასამართლო, სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების არსში ჩაწვდომა, ვთვლი გონივრული იქნება თუკი კანონმდებელი თავს ერთად მოუყრის არსებითად იმ საკითხებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამ პრინციპს, რადგანაც საპროცესო კოდექსში ჩანაწერი ამ პრინციპებზე არ არის ამომწურავი, რაც შეეხება კოდექსის ცალკეულ კომენტარებს იქ ვხვდებით მითითებას, რომ ეს პრინციპები წესრიგდება კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმატიული აქტებით, რის შედეგადაც ჩვენ უნდა ვეძიოთ შესაბამის კონვენციაში თუ უფლებათა ქარტიაში ჩანაწერები აღნიშნულის თაობაზე. ამდენად კარგი იქნება თუკი საპროცესო კოდექსის კომენტარებში არა მშრალად, არამედ სრულყოფილად განმარტავენ კონკრეტულად რითია ეს პრინციპი განმტკიცებული როგორც კონსტიტუციაში ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ და ამერიკულ კონვენციებში.

ეს პრინციპი სათავეს იღებს კონსტიტუციის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტიდან რომელიც პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის კონსტიტუციურ მოთხოვნას გულისხმობს. როგორც ვიცით სახელმწიფოს აკისრია დიდი მისია ღირსების დაცვის ნაწილში სამართლებრივი დევნის განხორციელებისას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის გარდა სახელმწიფო თავისუფლდება იმ პასუხისმგებლობისაგან, რასაც პიროვნების ღირსების დაცვა ჰქვია. აუცილებელია საზოგადოების ინფორმირებულობა პროცესის სამართლიანობასთან დაკავშირებით. ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესში აქტიური სუბიექტის სტატუსი გააჩნია ეს კი თავს მხრივ გულისხმობს იმას, რომ მას უფლება აქვს პროცესის მიმდინარეობასა და მის შედეგებზე ზემოქმედება შეეძლოს, რა თქმა უნდა სამართლებრივიად. პროცესის სამართლიანობა გულისხმობს არამარტო უშუალოდ სასამართლო პროცესის სამართლიანობას, არამედ გამოძიების ეტაპიდან განაჩენის/განჩინების დადგომამდე განვლილ მთელ პერიოდს, ამდენად

სამართლიანი პროცესის უფლებით, მხოლოდ ბრალდებული კი არა არს ალჭურვილი, არამედ ეს უფლება ვრცელდება პროცესში მონაწილე ყველა პიროვნებაზე.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის, საამართლიანი პროცესის პრინციპისა და სამართლიანი სასამართლოს აღრევა ხდება. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამ ორი პრინციპს, ჟღერადობით ყური ერთა და იგივედ აღიქვამს, გაუმართლებლად მიმაჩნია მათი გაიგივება. პირველ შემთხვევაში თანმიმდევრულად მიმდინარე ყველა პროცესის სამართლიანობაზეა საუბარი, კერძოდ კი სამართლიანი პროცესი გულისხმობს მხრებისათვის თანაბარი პირობების შექმნას სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და არამარტო სასამართლოში, ხოლო მეორე შემთხვევაში სამართლიანი სასამართლო არის ადამიანების რეალური შესაძლებლობა სრულყოფილად დაიცვან საკუთარი უფებები, სამართლიანი სასამართლო არის გარანტი იმისა, რომ ადამიანები დაცული იყვნენ სახელმწიფოს თვითნებობისაგან, სამათლინ სასამართლოში ყველა კანონის წინაშე თანასწორია მიუხედავად იმისა რომელ მხარეს წარმოადგენენ. ალბათ მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანებს ეშლებათ ეს ორი პრინციპი, არის ის, რომ სამართლიანი პროცესი ჰგონიათ უშუალოდ სასამართლოში მიმდინარე პროცესი ხოლო სამართლიანი სასამართლო ამ პროცესის სამართლიანობა.

როგორც უკვე შეამჩნევდით, სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი გამოვყავი ერთმანეთისაგან და ცალ-ცალკე წარმოვადგინე, რადგანაც ერთი შეხედვით საპროცესო შეთანხმებას საფუძვლად უდევს მეტწილად სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი, ვიდრე სამართლიანი პროცესის გამყარება.

## 1.2 სწრაფი მართლმსაჯულება

სწრაფი მართლმსაჯულება განმტკიცებულია სსსსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით და იგი ბრალდებულს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას ანიჭებს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილი სასამართლოებს ავალდებულებს იმ სისხლის სამართლის პრიორიტეტულად განხილვას, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.<sup>5</sup> ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესი არსებითად უზღუდავს ცალკეულ უფლებებსა და თავისუფლებებს ამდენად ბრალდებულს გააჩნია სამართლებრივი პრეტენზია, რომ მის მიმართ წარდგენილი ბრალდების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნას გონივრულ ვადაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები ეთმობა სისხლის სამართლის მოკლე ვადებში განხილვას ასე მაგალითად სსსკ-ის მე-100 მუხლის პირველი ნაწილი გამომძიებელს ავალდებულებს გამოძიების დაწყების დაუყოვნებლივ პროკურორისათვის შეტყობინებას, სსსკ-ს 103-ე მუხლის მიხედვით გამოძიება უნდა წარიმართოს გონივრულ ვადაში<sup>6</sup>, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ყველას აქვს მის მიმართ არსებული

სამართლებრივი საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება<sup>7</sup> და ა.შ.

სისხლის სამართლის საქმის სწრაფად განხილვას მეტად მნიშვნელოვანი როლი აკისრია და შეიძლება ითქვას სახელმწიფოს სამართლებრივი სტატუსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია სწორედ, რომ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულებაა. ძალიან მნიშვნელოვანია ბალანსი სამართალწარმოების სისწრაფესა და სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელებას შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ სისწრაფემ არ უნდა დააზიანოს შედეგი. ჩვენი ქვეყნის, წარსული გამოცდილებას თუ გავიხსენებთ, როდესაც ე.წ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ

<sup>5</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 21/05/2020 წელი. მე-8 მუხლი. გვ.25  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=118>

<sup>6</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 21/05/2020 წელი. მე-100 მუხლი, გვ.81; 103-ე მუხლი, გვ.82.

<sup>7</sup> [https://www.echr.coe.int/Documents/Convention\\_KAT.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Convention_KAT.pdf) მე-6 მუხლი, გვ.9



გატარდა სასამართლო რეფორმები, კერძოდ 2005 წელს გაუქმდა რაიონული სასამართლოები და შეიქმნა საქალაქო სასამართლო, თითოეულ მოსამართლეს კი განსახილვევლად 700-800 საქმე დაეწერა, ამაზე ღიად ისაუბრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა თავჯდომარემ, მამუკა ახვლედიანმა, ხოლო ეს ციფრები გადაამოწმა „ფაქტ-მეტრმა“ რომელმც სტატია მიუძღვნა კონკრეტულად ამ თემას და თან დაურთო სასამართლოდან გამოთხოვილი 2005 წლის

სტატისტიკური მონაცემები რომლის მიხედვითაც, 2005 წელს სულ წარმოებაში იყო 3697 საქმე, მოსამართლეთა რაოდენობა კი იყო 9, შედეგად საქმეთა 73% ვერ დამთავრდა<sup>8</sup> და ეს იყო შედეგი იმისა რომ საქმეების სწრაფი განხილვა დაიწყო, ამან კი უარყოფითი გავლენა მოახდინა მართლმსაჯულების ხარისხზე და მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობაზე, ეს ისეთი შეცდომაა რომლის მაგალითზეც უნდა ვისწავლოთ, რომ მთავარი არა სისწრაფე არამედ სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელებაა.

სწრაფ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით ქართულ სამართლებრივ ლიტერატურებში გამოთქმულია არაერთი შეხედილება და მთავარი სათქმელი ყოველთვის მიმართულია იმისკენ რომ სწრაფი მართლმსაჯულობა არ გულისხმოს სისხლის სამართლის საქმის დაყოვნების გარეშე განხილვას<sup>9</sup>, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში დაყოვნება აუცილებლად უნდა იყოს გონივრული ვადით შემოფარგლული. ცალკე საკითხია თვითონ სიტყვა დაყოვნება რამდენად შეიძლება იყოს საფუძვლიანი და გონივრული, მითუმეტეს მაშინ, როცა ქართულ იურისპრუენციაში ვხვდებით სიტყვათა ისეთ წყობას, როგორცაა საუძვლიანი გაჭიანურება, რომელიც ერთი შეხედვით პირდაპირ წინასწარ განზრახულ ქმედებად შეიძლება მივიჩნიოთ. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ საქართველოს

---

<sup>8</sup> <https://factcheck.ge/ka/story/21831-mamuka-akhvlediani-2005-tsels-rotsa-sasamarthloebigaerthianda-stsored-mashin-iqho-rom-mosamarthleeb-700-800-saqme-etserath-akhlats-msgavsikrizisuli-situatsiaa>

<sup>9</sup> <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ssssk-komentari.pdf> მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი, გვ 71.

კანონმდებლობაში არ არსებობს სამართლებრივი დაყოვნების განსაზღვრული ვადა და იგი სპეციფიკურია საქმიდან გამომდინარე<sup>10</sup>.

დავუბრუნდეთ სამართლებრივი ბალანსის უზრუნველყოფის საკითხს. მართლმსაჯულების გაჭიანურება დიდ საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების ეფექტურობას, ვინაიდან პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ სამართალწარმოების არასწორი სისწრაფე ან ხანგრძლივობა უარყოფითად აისახება მტკიცებულებათა ხარისხსა და დასაშვებობაზე, ისიც ნათელია, რომ მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის ტოლფასი კი არის დროში გაწელილი პროცესი<sup>11</sup>. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა მოხდეს ძალიან სწრაფად, იმდენად სწრაფად, რომ მართლმსაჯულების ხარისხი დაეცეს. სახელმწიფოს მართებს სისტემური, თუნდაც მუდმივი მონიტორინგი პროცესებზე, რომელიც გამოავლენს პროცესის მონაწილე მხარეებისა და მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს წარმომადგენელთა დარღვევებს, რომლებსაც სავალალო შედეგებამდე მივყავართ. გარდა ამისა ვფიქრობ კარგი იქნება, არა მხოლოდ კანონის დარღვევის, არამედ კანონის დაცვის გამოვლენა და შემდეგ შეფასება, დამერწმუნეთ მსგავს მონიტორინგს დადებითი დამოკიდებულება მოჰყვება, რადგანაც ეს ნათელს გახდის, რომ ჩვენ სახელმწიფო ორიენტირებული არ არის მხოლოდ შეცდომების გამოაშკარებაზე, რომ ჩვენი ქვეყანა პატივს სცემს კანონის განუხრეად დამცველებს. რა თქმა უნდა მონიტორინგი არ უნდა იყოს მოსამართლის გადაწყვეტილების გადასინჯვა ან მის გადაწყვეტილებაში ჩარევა ეს უნდა იყოს საშუალება ისეთი დარღვევების თავიდან აცილების, როგორცაა მოსამართლეთა მხრიდან განაჩენის ისეთ დროს ჩაბარება, როდესაც თითქმის ამოწურულია გასაჩივრების ვადა, ოქმის გაყალბება აგრეთვე მხარეთა ისეთი დარღვევების მკაცრი კონტროლი რომლის პრაქტიკულ მაგალითებსაც მიეკუთვნება უსარგებლო საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება, მხარეთა მიერ ისეთი მტკიცებულებების გამოკვლევა, რომელსაც საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ამასთანავე

---

<sup>10</sup> <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ssssk-komentari.pdf> მე-8 მუხლის მე-10 ნაწილი, გვ 71.

<sup>11</sup> <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ssssk-komentari.pdf> მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, გვ 70.

საქმის განხილვის თარიღის შორს გადაწევა იმ მოტივით, რომ უფრო ახლო თარიღი მუღებელია სხვა პროცესის დამთხვევის გამო, მხარეთა პუნქტუალურობის შემოწმება და ა.შ. საერთო ჯამში დაკვირვების ამგვარი მეთოდი მოგვცემს იმის შესაძლებლობას დროულად ვიფიქროთ არსებული დარღვევების თავიდან აცილების გზებზე, ასევე იგი იქნება გარანტია იმისა, რომ სამომავლოდ შემცირებული და შრომულ პერსპექტივაში სრულიად აღმოფხვრილი იქნება არსებული პრობლემების განმეორება. ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ საქმე სრულყოფილად და კარგად სრულდება ზედამხედველობის ქვეშ, ერთგვარი კონტროლი კარგად აისახება საქმის კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულებაზე. რა თქმა უნდა დიდი მნიშვნელობა აქვს ხარჯებს, რომელსაც მოითხვს მონიტორინგი და იმ საკითხს ვის ჩააბარებს სახელმწიფო მონიტორინგის სადავეებს, რადგანაც დამკვირვებელი პირველ რიგში თვითონ უნდა იყოს კეთილსინდისიერი, მიუკერძოვებელი, ობიექტური და ეს არ არის იმ მოთხოვნების სრული ჩამონათვალი რომელსაც ის უნდა აკმაყოფილებდეს, ამიტომაც აუცილებელია მათი სრულყოფილი მომზადება. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მონიტორინგით არ უნდა შევამინოთ ბრალდებისა და დაცვის მხარეები, ასევე სასამართლოს წარმომადგენლები, არამედ მნიშვნელოვანია ვაჩვენოთ მათ, რომ ეს დაკვირვება არის გარანტია, რომლითაც პროცესის მონაწილეები არიან დაცული ნებისმიერი კანონდარღვევისაგან. მუდმივი დაკვირვებით შევძლებთ ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი სტატუსის გაძლიერებას და გამოვლენილი პრობლემების უმაღლესად აღმოფხვრას.

უნდა ითქვას, რომ მონიტორინგი საქართველოს სასამართლოებში მიმდინარეობს საკმაოდ დიდი ხანია და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურად ახორციელებენ მას, მათ შორის პირადადაცაქტიურად ვიყავი ამ საქმით დაკავებული ქალაქ ქუთაისში, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში არსებული იურიდიული კლინიკის ფარგლებში 2017 წელს და სამართლიან პროცესთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესების უმრავლესობაზე, მინდა ვთქვა, რომ დასრულდა სახელმწიფო ბრალდების სასიკეთოდ, მქონდა ობიექტური განცდა იმისა, რომ სახელმწიფო ბრალდება უპირობოდ ძლიერი იყო დაცვის მხარეზე, არ

მინდა ვინმემ ისე გაიგოს თითქოს ვაკნინებდე ადვოკატის პროფესიას, პირიქით მე დიდი პატივს ვცემ ადვოკატებს, მაგრამ პრობლემა, რასაც ვხედავდი იყო გამოწვეული იმით, რომ პროკურორებს არერთი გადამზადება უტარდებათ, იქნება ეს ტრენინგებით თუ სხვადასხვა სახით, ისინი უპირატესად იღებენ უფრო მეტ და საჭირო ახალ ინფორმაციას სხვა ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე როგორ წარმართონ პროცესები, მათი გადამზადებისთვის სახელმწიფო გამოჰყოფს სოლიდურ თანხებს, მაშინ როცა დაცვის მხარეს, სავალდებულო დაცვის ადვოკატებს ამის ფუფუნება არ აქვთ. მიუხედავად იმისა რომ ადვოკატებსაც უტარდებათ რაღაც დოზით პრაქტიკული და თეორიული ტრენინგები ბრალდების მხარე, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი ამ მხრივ ბევრად უპირატეს მდგომარეობაშია. მინდა ვცხოვრობდე სახელმწიფოში სადაც თამამად შემეძლება ვთქვა, რომ სახელმწიფოში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის რომ სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს სამართლიანად, სამართლიან პრინციპებზე დაყრდნობით და გვაქვს სმართლებრივი პროცესები, სადაც მხარეები არიან თანასწორნი არ ვგულისხმობ მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობას არამედ სახელმწიფოში, როგორც პროკურატურის ორგანოების ასევე საადვოკატო ბიუროების თანაბარ გაძლიერებას.

მთავარია პრობლემის აღმოჩენა, მაგრამ დამერწმუნეთ ძალიან რთულია პრევენციული გზის პოვნა, მაგრამ სახელმწიფომ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, რომ პრობლემის აღმოფხვრა თავისდროზე მოხდეს რაც მოგვცემს შესაძლებლობას პრობლემებმა არ მიიღონ ჯაჭვურ სახე. სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განუხილველობა თავის მხრივ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევაა. ერთ-ერთ ცნობი საქმეში ციმერონი და შტაინერი შვეიცარიის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება ისე მოაწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ მისცეს სასამართლებს შესაძლებლობა იმოქმედონ გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დაცვით. ამავე საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან საქმის განხილვის გაჭიანურების მიზეზი იყო სასამართლოების გადატვირთულობა, ადგილი ჰქონდა საქმის გონივრულ ვადაში განხილვის დარღვევას , იმდენად რამდენადაც

სახელმწიფომ არ მიიღო ადეკვატური ზომები ამ სიტუაციის გამოსასწორებლად. ევროპულმა სასამართლომ საქმეთა გადატვირთულობის გამო სქმის განხილვის გაჭიანურება სამართლიანი სასამართლოს დაღვევად შეფასდა. მინდა ეს მაგალითი დაუკავშიროთ საქართველოში უშუალოდ 2005 წელს მიმდინარე პროცესებს, როდესაც „როგორც ზემოთ ავრნიშნეთ, სასამართლოები იმდენად გადაიტვირთა, რომ მოსამართლეებს დიდი რაოდენობით განსახილველი საქმე ეწერეთ, ამის აღმოსაფხვრელად კი გადავიდნენ საქმეების სწრაფ განხილვაზე, რამაც ვიცით რა შედეგებიც გამოიღო და აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სწრაფი მართლმსაჯულება არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, სწრაფად მართლმსაჯულების განხორციელებად რადგან ასეთი სისწრაფე ცუდად აისახება შედეგის სამართლებრივ ხარისხზე.

რაც შეეხება სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის მიმართებას, საპროცესო შეთანხმებასთან, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეს პრინციპი გახლავთ ერთ-ერთი საფუძველი ჩვენს სახელმწიფოში საპროცესო შეთანხმების დანერგვისა.

იურიდიულ დოქტრინაში არსებულ პრინციპებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სწორედ სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს, მაგრამ რას შეიძლება ემსახუროდეს ის ფაქტი, რომ საპროცესო შეთანხმება აშკარად სამართლებრივ თანხვედრაშია სწრაფ მართლმსაჯულებასთან, ხოლო იგივეს თქმა არ შეგვიძლია სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან მიმართებაში. როგორც ვიცით სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი გახლავთ ერთი პრინციპი, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით რეალობას, რომ ამ პრინციპის იმ ნაწილს, რომელსაც სწრაფი მართლმსაჯულება წარმოადგენს მეტად ამართლებს საპროცესო შეთანხმების არსებობა ვიდრე, ის ნაწილი რომელიც სამართლიან პროცესს გულისხმობს.

## თავი II მართლმსაჯულების გაჭიანურება როგორც პრობლემა

### 2.1. მართლმსაჯულების გაჭიანურების მიზეზები

საქართველოსი მოქმედი ადვოკატები, პროკურორები, ფიზიკური თუ იურიდიული პირები პროცესის გაჭიანურების მიზეზებს ან ერთმანეთს ან სასამართლო ორგანოს მიაწერენ ხოლმე, მაგრამ ასე ხელალებით არ შიძლება რომელიმეს დადანაშაულება ამდენად საჭიროდ მიმაჩნია, როგორც სამართალწარმოების ორგანოსაგან ასევე პროცესის მონაწილე მხარეთა მხრიდან იმ დარღვევების თვალსაჩინოდ წარმოდგენა, რომელიც გამხდარა მართლმსაჯულების გაჭიანურების მიზეზი, რამდენადაც რთული არ უნდა იყოს ამაზე ღიად მსჯელობა ეს იმად ღირს, რომ იგი მოგვცემს იმის შესაძლებლობას დავინახოთ საიდან მოდის პრობლემა და შევძლოთ მისი დროული გამსწორება.

როგორც ვიცით სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება ეხება, როგორც სისხლის სამართალს, ასევე სამოქალაქო სამართალს, მინდა წარმოგიდგინოთ უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება სწორედ სამოქალაქო საქმეზე, რომელზეც საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა 10-ზე მეტი განაცხადი შეიტანა საქმის წარმოების განხილვის მოთხოვნით, ერთი და იმავე საქმეზე და მიუთითა, რომ ეს ქმედება არ ემსახურებოდა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას და რომ იგი მიზნად ისახავდა საქმის განხილვის ხელოვნურ გაჭიანურებას. შეტანილი განცხადებები შინაარსობრივად არც კი განსხვავდებოდა, პალატის მოსაზრებით, ასეთი ქცევა სცილდებოდა მართლმსაჯულების და მიუძღვნეს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს.<sup>12</sup> მოგეხსენებათ, რომ პროცესების უსაფუძვლო გაჭიანურებას იწვევს საქმეთა სასამართლო სისტემაში დაგროვება, ამასთანავე არაგონივრულად გახანგრძლივებული საქმისწარმოება საზოგადოებაში თესავს მართლმსაჯულების უნდობლობას, საქმე კი იმაშია, რომ სწორედ საზოგადოება გახლავთ მართლმსაჯულების ავკარგიანობის განსაზღვრის ერთ-ერთი ინდიკატორი. ყველა პრობლემას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია პრობლემის მოგვარების სწორი გზების პოვნა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რაც თავიდან აგვაცილებს საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულებას, რომ მართლმსაჯულება დროში დაკარგული პროცესია. არც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა და არც საერთაშორისო სამართალი არ ადგენს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობას და იგი განისაზღვრება კონკრეტულ საქმესთან მიმართებით საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე. საქმეთა გაჭიანურების მიზეზი შეიძლება იყოს საფუძვლიანი საქმის სირთულიდან გამომდინარე, მაგალითად, როცა საქმე ეხება ნარკოტიკულ, ტერორისტულ, იურიდიული პირების მხრიდან განხორციელებულ ფართომასშტაბიან თაღლითურ ქმედებებს, რაც საჭიროებს დიდი რაოდენობით საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის შესწავლას არერთი ექსპერტის

---

<sup>12</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტება, ( საქმეზე #ა-988-ა-7-2011) <http://www.supremecourt.ge/news/id/238>

მონაწილეობით და სხვა. გარდა ამისა პროცესის გაჭიანურება საფუძვლიანია თუ ეს საჭიროა დაცვის მხარის სათანადოდ მომზადებისათვის. თუმცა ვფიქრობ, რომ უმჯობესია კანონმდებელმა ასეთ შემთხვევებსი გამოიყენოს არა „საფუძვლიანი გაჭიანურება“ არამედ მაგალითად პროცესის გონივრული გახანგრძლივება.

თუკი თვალს გადავავლებთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებებს დავინახავთ, რომ მაგალითად სამოქალაქო კატეგორიის საქმეებზე სამივე ინსტანციაში საქმის განხილვის დასრულებას სჭირდება წლები, საშუალოდ 4 ან მეტიც. სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობაც არ ჩამოუვარდება ამ მონაცემებს და აქაც იმ დროის გამოკლებით რაც საჭიროა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის სახეზეა დროში გაწელილი პროცესები. თუ დავფიქრდებით, რატომ არის ეს პრობლემა ასე მნიშვნელოვანი მინდა ფიქრი იქიდან დაიწყოთ, თუ რამდენი რამე შეიძლება შეიცვალოს 1 წლის მანძილზე, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება მხარეთა ინტერესებს, მხარეებს რომლებისთვისაც სასამართლო გადაწყვეტილება არის კონკრეტული სარგებლის მოლოდინი. ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია საქმეების გონივრულ ვადაში განხილვა, მაგრამ ამაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმ მოსამართლეთა პასუხისმგებლობას, რომელთა მიზეზითაც შეიძლება მოხდეს საქმის გაჭიანურება სასამართლოში საქმეთა აურაცხელი რაოდენობის დროს, თითქოს სასამართლოს გადატვირთულობის პირობებში შეიძლება თვალი დავხუჭოთ მოსამართლეთა შეცდომებზე, რადგან ეს შეცდომები გამოწვეულია განსახილველი საქმეების დიდი ოდენობით. აქვე უნდა ითქვას, რომ გაჭიანურებისათვის არავის დევნიან და ამიტომ უნდა დავსვათ კანონის აღსრულების აუცილებლობაზე საკითხი.



## 2.2 საქმის განხილვა გონივრულ ვადაში

მოცემული დებულების მიზანი არის ის რომ მოხდეს, როგორც სამოქალაქო საქმეში სამოქალაქო მხარის, ისე სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულის დაცვა პროცესის გაჭიანურებისაგან. გონივრულ დროში საქმის განხილვის უფლება ხაზს უსვამს მართლმსაჯულების განხორციელებას ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე, რადგანაც არაგონივრულ ვადით საქმისწარმოების გაჭიანურება ხელყოფს მართლმსაჯულების ეფექტურობასა და უტყუარობას. ვისაუბროთ კანონმდებლობით განსაზღვრულ 9 თვიან ვადაზე, რომელსაც არ უნდა აღემატებოდეს პატიმრობა, კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია ადამიანის თვითნებური და არა აუცილებელი პატიმრობისაგან დაცვის უფლება. ხოლო კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. იმის გათვალისწინებით რომ კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი პრაქტიკა არ აქვს კარგი იქნება თუ იხელმძღვანელებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „დაპატიმრებული პირი სწრაფად უნდა წარედგინოს მოსამართლეს ... მას გონივრულ ვადაში აქვს უფლება სასამართლო პროცესზე...“ აშშ-ს კონსტიტუციის მე-6 შესწორების თანახმად კი, სისხლის სამართლის ბრალდების საქმეზე, ბრალდებული სარგებლობს საქმის სწრაფი განხილვის უფლებით. საქმის სწრაფად განხილვასთან დაკავშირებული ჩანაწერი პირდაპირ არ არის ჩაწერილი საქართველოს კონსტიტუციაში. მაგრამ ჩვენი კონსტიტუციაში არის დებულებები, რომლებიც სწორედ სწრაფი მართლმსაჯულების ინტერესების რეალიზებას ემსახურება. კერძოდ კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი რომლის მიხედვითაც, 9 თვის გასვლის შემდეგ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი უნდა გათავისუფლდეს, სწორედ საქმის გონივრულ ვადაში გადაწყვეტას ემსახურება. ეს მუხლი ავალდებულებს პროკურატურას და სასამართლოს ყველაფერი გააკეთონ საქმის გონივრულ ვადაში გადასაწყვეტად. კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია ადამიანის თვითნებური და არა აუცილებელი

პატიმრობისაგან დაცვის უფლება. როგორც აღინიშნა ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. მაგრამ თუ 9 თვიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე აღმოჩნდება ახალი მტკიცებულება, რაც ადასტურებს ბრალდებულის დანაშაულებრივ ქმედებას რომლის შესახებ ხელისუფლებისთვის მანამდე არაფერი იყო ცნობილი, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა არსებობდეს მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე და ამიტომ გამართლებული იყოს პატიმრობის ვადის გაგრძელება თუნდაც ამ ვადამ 9 თვიან ვადას გადააჭარბოს. მაგრამ ხშირია შემთხვევები როდესაც ამ უფლებას ბოროტად იყენებს ბრალმდებელი და მიუხედავად იმისა რომ მსგავსი მტკიცებულება 9 თვიანი პატიმრობის ვადის ამოწურვამდე ბევრად ადრე ჰქონდა მოპოვებული ბრალდებულისათვის ზიანის მიყენების ან პროცესის გაჭიანურების მიზნებისთვის არ წარმოადგინა. ალბათ ყველას გვსმენია ცოტნე მამულაშვილის შესახებ, რომელსაც ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. სასამართლომ იგი გირაოთი არ გაათავისფუფლა. და წინასწარ პატიმრობაში 4 თვეზე მეტი იყო, აღნიშნული დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მის ოჯახის წევრებსა და საზოგადოებაში, რომლებიც აცხადებდნენ რომ 9თვე წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადაა და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქმე რომლის განხილვაც სასამართლოს ბევრად ნაკლებ დროში შეუძლია, მაინცდამაინც 9 თვე გაიჭიანურდესო. ამ ინფორმაციას ავრცელებდა „ნეტ-გაზეთი“ და ხაზს უსვამდა რომ საზოგადოებაში 4თვით პატიმრობის გაგრძელებაც კი დიდ ეჭვებს ბადებდა იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო მიკერძოვებული იყო.<sup>13</sup> ამდენად როდესაც 4 თვიანი ვადის გასვლას ამხელა აჟიოტაჟი მოჰყვა, როგორი რეაქცია ექნება საზოგადოებას 9 თვიანი ვადის საფუძვლიანად გახანგრძლივების დროს. მნიშვნელოვნია იმის ცალსახად ჩვენება თუ რომელი საქმეები შეიძლება გახანგრძლივდეს. იმის გათვალისწინებით რომ კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებთან დაკავშირებით

---

<sup>13</sup> ნეტ-გაზეთი

[https://netgazeti.ge/opinion/22391/?fbclid=IwAR3Pf7Fer\\_f9QJvCHcOUWirF2C6txScBey7at0sX9o ucQ\\_bfwjlxkMY57ytg](https://netgazeti.ge/opinion/22391/?fbclid=IwAR3Pf7Fer_f9QJvCHcOUWirF2C6txScBey7at0sX9o ucQ_bfwjlxkMY57ytg) 02/06/2013.

საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი პრაქტიკა არ აქვს კარგი იქნება თუ იხელმძღვანელებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით. ამის წყალობით კი სახელმწიფო შეძლებს სათანადოდ აღმოფხვრას ისეთი შემთხვევები, როდესაც განხილული სადავო ნორმა პროკურატურას შესაძლებლობას აძლევს თუ ახალ მტკიცებულებას ვერ მოიპოვებენ, ცალკე წარმოებად გამოყონ სისხლის სამართლის საქმეს იმ დანაშაულის ფაქტზე, რომლის ჩადენის დრო, წინ უსწრებს პატიმრობის შეფარდებას და ამ გზით მიიღებენ ბრალდებულის 9 თვეზე მეტი ვადით გაზრდა, რაც საერთო ჯამში უნდა ითქვას რომ სსსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ და მე-5 ქუნქტს.

როგორც უკვე ავლნიშნეთ საკითხი თუ დროის რა პერიოდი მიიჩნვა გონივრულად დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე. სასამართლო საქმის შეფასებისას ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

საქმის სირთულე; დაცვის

მხარის ქცევა; პროცესის

მწარმოებელი ორგანოს

ქმედებები.

ამდენად როდესაც ვადის გონივრულობის შეფასება ხდება სასამართლო სამივე საკითხს ცალკეაღვე განიხილავს და შესაბამისად ადგენს ჰქონდა თუ არა ადგილი საქმის გაჭიანურებას მთლიანობაში ან ცალკეულ ეტაპებზე.

### 2.2.1 საქმის სირთულე:

როცა პროცესები მიჩნეულია, როგორც რთული, სასამართლო ორგანოებს აქვთ უფრო დიდი დრო საქმის დასრულებისათვის, უფო სწორად, რომ ითქვას რთული საქმეების განხილვა შეიძლება დროში გახანგრძლივდეს მაგრამ ეს არ ჩაითვლება მართლმსაჯულების განზრხ და უსაფუძვლო გაჭიანურებად.

ამდენად მნიშვნელოვნად მივიჩნევ ვისაუბრო პირველ რიგში რას გულისხმობს საქმის სირთულე, ამავედროულად რომელი საქმეები შეიძლება ჩაითვალოს რთულად და ბოლოს სასამართლოს, ხელისუფლების ორგანოების მხრიდან საქმის სირთულის დასაბუთებაზე, პრაქტიკულად რამდენად შეესაბამება კონკრეტული საქმის სირთულე მისი განხილვის ხანგრძლივობას.

საქმის სირთულე შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც ფაქტებთან ასევე სამართლებრივ საკითხებთან. საქმეები სირთულის მიხედვით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების მიხედვით დაყოფილია რთულ და შედარებით რთულ საქმეებად. ყურადღება ექცევა შერაცხული დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს. საქმე რთულად შეიძლება მივიჩნიოთ მაშინ, როცა მასზე ბევრი ფაქტობრივი გარემოებაა დასადგენი. რაც შეეხება მსგავსი საქმის კონკრეტულ მაგალითს, სისხლის სამართალში რთულ საქმეს მიეკუთვნება პიროვნების ბრალდება დანაშაულის მრავალ ეპიზოდში, საქმეში მასალების დიდი მოცულობის არსებობა, ზოგიერთი საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელება საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქმეთა გაერთიანება და სხვა.

შედარებით რთულ დანაშაულებს მიეკუთვნება და უფრო ხანგრძლივი ვადას საჭიროებს ისეთი დანაშაულები, როგორცაა ეკონომიკური, ნარკოტიკული, ტერორისტული და სხვა. გარდა ამისა საქმე შეიძლება იყოს სამართლებრივად რთული, მაგალითად შიდა სასამართლოს მიერ ახალი საკანონმდებლო აქტის გამოყენება როდესაც ხდება. იბადება კითხვა გაჭიანურებული სასამართლო პროცესების შემთხვევაში იძლევა თუ არა სასამართლო დაცვის ეფექტურ შესაძლებლობას რომ გაჭიანურებული პროცესები ხელს არ შეუშლის სხვა განსახილველ საქმეებს?

საქმეების მოცულობის შესაბამისად სასამართლოს საქმიანობაც იზრდება აქიდან გამომდინარე არსებობს სამართლოთა გადატვირთვის რისკი. ამის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს მართებს გონივრულობა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც იქნება ამ პრობლემისაგან საუკეთესო თავდაცვის მექანიზმი. კარგი იქნება თუ მსგავს სიტუაციაში მოხდება საქმეების გადარჩევა მათი მნიშვნელობის

მიხედვით, იმის მიხედვით თუ რამდენად მნიშვნელოვანი და საჩქაროა ამა თუ იმ საქმის განხილვა.

### 2.2.2 დაცვის მხარის ქცევა

ყურადღება მინდა დავუთმო ორ გარემოებას ერთი, რომ საპროცესო კოდექსის კომენტარების მიხედვით ბრალდებული არ არის ვალდებული ითანამშრომლოს პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან ამიტომაც თუკი იგი არ ეხმარება გამოძიებას, არ ცდილობს სამართალწარმოების დაჩქარებას და აქტიურად არ თანამშრომლობს შესაბამის ორგანოსთან ეს არ შეიძლება გახდეს სამართალწარმოების არაგონივრულ ვადაში გახანგრძლივების მიზეზი უფრო ზუსტად კი ბრალდებულის აღწერილი ქმედებები არ ამართლებს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გაზრდას.

მეორე, მინდა შევეხო შემთხვევას როდესაც ბრალდებული მოწმეებზე ზემოქმედებით ცდილობს ხელის შეშლას სწრაფი მართლმსაჯულებისათვის, მაგრამ ბრალდებულის მსგავსი ქცევა სისხლის საართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ამართლებს პროცესის ხანგრძლივობას და საქმისწარმოების ვადების გაზრდას გონივრულად მიიჩნევს. ჩნდება კითხვა მსგავსი სიტუაციების გამო სასამართლო სისტემაში საქმეთა დაგროვების რისკის გაზრდის ფონზე ვისი ბრალეულობა იკვეთება? დავიწყოთ იმით, რომ თუ ბრალდებულის მოწმეებზე ზემოქმედება, მტკიცებულებების დამალვა ან განადგურება, ანუ პირდაპირი ხელის შეშლა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე ამართლებს პროცესის ხანგრძლივობას და გაზრდილი ვადების გონივრულობას, ეს ბრჭყალებში საუძვლიანად პროცესის გაჭიანურება სრულიად უსაფუძვლო ხომ არ არის სხვა საქმეებზე, ბრალდებულების მიმართ, რომლებსაც ამ ყველაფრით ექმნებათ საფრთხე, რომ ეს შეიძლება გახდეს სასამართლოს საქმეებით გადატვირთვის მიზეზი რის შედეგადაც მათი საქმეების განხილვაც გაჭიანურდება.

სრულიად ვაცნობიერებ ბრალდებულის უფლებებს სისხლის სამართლის პროცესში მაგრამ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა რმდენად შეიძლება ამართლებდეს პროცესის გაჭიანურების გონივრულობას მაშინ, როცა ბრალდების მხარეს შეეძლო მოსამართლე დაერწმუნებინა ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახედ პატიმრობა გამოეყენებინა, თუკი არსებობდა რეალური საფრთხე იმისა, რომ ბრალდებული მიიძალებოდა, ან მოწმეებზე მოახდენდა ზემოქმედებას და ამით აეცილებინა ის შედეგები, რაც გახდა საფუძველი პროცესის გახანგრძლივებისა. ვფიქრობ მოცემულ სიტუაციაში ბრალდების მხარეს, პროკურორს ღირსეულად და დამაჯერებლად რომ შეესრულებინა თავისი მოვალეობა საქმის წარმოება განხორციელდებოდა სწრაფად.

რა თქმა უნდა დაცვის მხარეში მხოლოდ ბრალდებული არ მოიაზრება და პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ მაგალითებსაც როდესაც ადვოკატების მხრიდან მათთვის მინიჭებული უფლებების არაკეთილსინდისიერად გამოყენება ხდება, მაგალითად ისეთი უფლებების როგორცაა გასაჩივრება, შუამდგოლობის დაყენება, აცილება და სხვა. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსამართლის როლს, რადგანაც როგორც ვიცით იგი არის ერთგვარი არბიტრი, რომელიც უმაღვე ვერ აღმოფხვრის ადვოკატთა ისეთი ქცევას, რაც პირდაპირ მიმართულია მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელების ხელშეშლისაკენ თუკი ამის არ განცხადებას არ გააკეთებს ბრალდების მხარე. არაერთი სამართლებრივი სახელმწიფო აღნიშნავს, რომ პროცესის გაჭიანურება უცხო ტაქტიკა არ არის დაცვის მხარისთვის ვფიქრობ ძირითადად მარტივი ამოსაცნობია, მითუმეტეს მოსამართლეთა მხრიდან, ადვოკატთა არაკეთილსინდისიერი ქცევა და უფლებების ბოროტად გამოყენება. ამიტომაც უნდა მოხდეს მოსამართლის უფლებამოსილების გაზრდა რაც აგვაცილებს საქმისწარმოების გაჭიანურებას ისეთი მიზეზებით, როგორცაა თუნდაც ადვოკატის მიერ უსაფუძვლო აცილების დაყენება ან ყველაფრის გასაჩივრება დროის გახანგრძლივების მიზნით. დაცვის მხრიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებულის ბრალეულობა მოწმეების საშუალებით დასტურდება არსებობს საფრთხე იმისა, რომ ეცდებიან პროცესის

გაჭიანურებას ყველაფრის ფასად, რადგანაც ეს არის შანსი იმისა, რომ დანაშაულის ჩადენიდან იმდენად დიდი დრო მოიგონ, რომ მოწმეებმა ვეღარ შეძლონ სასამართლოში დანაშაულის დეტალების გახსენება. თუკი დანაშაულიდან იმდენად დიდი დრო გავიდა, რომ მოწმე ვერ იხსენებს დანაშაულის დეტალებს ამაში მას დანაშაულებრივი წვლილი არ მიუძღვის იმდენად რამდენადაც ყველა ადამანი ინდივიდუალურია და მეხსიერებაც შესაბამისად ზოგს სუსტი აქვს, მითუმეტეს როცა მომხდარიდან დიდი დრო არის გასული. სასამართლო პროცესზე ხშირია შემთხვევა როდესაც მოწმის სახით იკითხება გამომძიებელი ან ექსპერტი, იკითხებოდნენ მათ მიერ უშვალოდ ჩატარებულ ღონისძიებებთან დაკავსირებით მაგრამ უჭირთ დეტალების გახსენება, მიზეზად კი ასახელებენ დიდი დროის გასვლას. აქედან გამომდინარე მოსამართლე ვალდებულია ამოიცნოს ისეთი არაკეთილსინდისიერი განზრახვები, რომლებიც ხელს უშლის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. მაგრამ როგორც უკვე ავლინებენ მოსამართლეს არ აქვს უფლება დაცვის მხარის არაკეთილსინდისიერ ქცევაზე მიიღოს შესაბამისი ზომები თუკი ამ დარღვევაზე ბრალდების მხარე არ მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ მხარეები თავად არიან პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელნი ეს არ ათავისუფლებს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ ვალდებულებისაგან რომ უზრუნველყონ პროცესის გონივრულ ვადებში წარმართვა და არ მისცეს მხარეებს პროცესის გაჭიანურების შესაძლებლობა, რაც უნდა გაითვალისწინოს ყველა მოსამართლემ.

### 2.2.3 პროცესის მწარმოებელი ორგანოს ქმედებები:

გაჭიანურებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც გამომძიებლის ეტაპზე ასევე სასამართლო განხილვის ეტაპზე. სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან გაჭიანურების სხვადასხვა ტიპები არსებობს. გამომძიებლის ეტაპზე გაჭიანურება შეიძლება მოიცავდეს უსარგებლო საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებებს, არაერთ საექსპერტო მოსაზრების მოპოვებას და სხვა. ხოლო სასამართლო განხილვის ეტაპზე გაჭიანურება გამოიხატება განხილვის არეფექტურ

ორგანიზებაში, მათ შორის საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოქვეყნების მიზნით დაუსრულებელი სასამართლო პროცესების გამართვა, დოკუმენტების გადაგზავნის სასამართლო სხდომის ოქმების ან განაჩენის მომზადები გაჭიანურება პროცესების დაუსაბუთებელი გადადება და სხვა.

### 2.3 პრიორიტეტულად სწრაფად განსახილველი საქმეები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიებს სახით გამოყენებულია პატიმრობა. ეს ისეთი პროცესებს მიეკუთვნება, რომელთა წარმართვა სხვებთან შედარებით მეტ სისწრაფეს მოითხოვს იქედა გამომდინარე, რომ ბრალდებულს, რომელიც პატიმრობაში იმყოფება შეზღუდული აქვს არაერთი უფლება ამიტომაც საჭიროა ბრალეულობის სწრაფი გამოკვლევა. გარდა ამისა არსებობს სხვა შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოებს დიდი ყუადღება მართებთ საქმის გონივრულ ვადაში განხილვასთან დაკავშირებით. იმისათვის რომ მარტივად გასაგები იყოს რას ვგულისხმობ კონკრეტულ მაგალითს გთავაზობთ: საქმეში Xv.France 1992, განმცხადებელი ჰემოფილით იყო დაავადებული და სასამართლო განაჩენის გამოტანამდე 1 თვით ადრე გარდაიცვალა. მას რამდენჯერმე გადაუსხეს სისხლი და მორიგი გადასხმის დროს მას შიდა ადმოაჩნდა. X-მა მიმართა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს



კომპენსაციის მოთხოვნით. იმ დროისათვის როცა საქმე სასამართლომ განიხილა, შიდა სამართალწარმოება 2 წელიწადზე მეტ ხანს გასტანა. სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გამოუწვევიათ საქმის უსაფუძვლო გაჭიანურება, ისინი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოჰკიდებოდნენ ამ საქმეს, რადგანაც განმცხადებელს ავადმყოფობის გამო არც თუ ისე დიდი ხნის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, სასამართლომ დასძინა, რომ ეროვნულმა მთავრობის წარმომადგენლებმა ვერ გამოიყენეს თავიანთი ძალაუფლება იმისთვის, რომ დაეჩქარებინათ პროცესების მიმდინარეობა.

ამ მაგალითით ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ კოდექსის ჩანაწერი, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს პრიორიტეტულად იმ საქმეების განხილვას რომელშიც ბრალდებულს ალკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული არ არის საკმარისი, რადგან იგი სულაც არ მოიცავს იმ კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც მაგალითის სახით წარმოგიდგინეთ, აქცენტს არ ვაკეთებ იმაზე, რომ კანონმდებლობით გაწერილი უნდა იყოს თითოეული შემთხვევა, როდესაც საქმეები პრიორიტეტული სისწრაფით უნდა განიხილებოდეს, მაგრამ კარგი იქნება თუკი შეიქმნება ჩანაწერი კანონმდებლის მიერ, რომელითაც მოწესრიგებული იქნება მსგავსი საქმეები, რომლებიც მიეკუთვნებიან პრიორიტეტულად სწრაფად განსახილველ საქმეებს, თუკი კანონმდებელი ითვალისწინებს ბრალდებულის მდგომარეობას, როდესაც ის პატიმრობაშია და შზღუდული აქვს არაერთი უფლება და ამის გამო სასამართლოს ავალდებულებს სწრაფად განიხილოს ბრალდებულის ბრალეულობა, პიროვნება რომელიც მძიმე სენით არის დაავადებული და ელოდება სამართლის აღსრულებას რომელსაც შიძლება ვერ მოესწროს, უნდა აღიჭურვოს უფლებით, რომლის მიხედვითაც სასამართლო ვალდებული იქნება საქმე განიხილოს პრიორიტეტულად სწრაფად, სხვა საქმეებთან შედარებით.

II თავის ბოლოს უნდა ითქვას, რომ მართლმსაჯულების გაჭიანურების ერთ-ერთი მთავარი პრობლემის, რომელსაც საქმეთა სირთულე მიეკუთვნება, აღმოფხვრის გზას საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს. როგორც ვიცით საპროცესო შეთანხმების დანერგვის ერთ-ერთი საფუძველი კორუფციასთან ბრძოლა იყო, ეს

უკანასკნელი კი მიეკუთვნება სწორედ დანაშაუთა იმ კატეგორიას, რომელიც იურდიულად რთულ საქმეებს წარმოადგენს და ხშირად საქმისწარმოების გაჭიანურების მიზეზი ხდება. მაგრამ მთავარია ოქროს შუალედის დაცვა სამართალწარმოების სისწრაფესა და მის ჯეროვნად განხორციელებას შორის, ამდენად საპროცესო შეთანხმება მიუხედავად იმისა რომ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებას უნდა მოექცეს სხვა სამართლებრივ პრინციპებთან თანხვედრაშიც.

### თავი III. საპროცესო შეთანხმება, როგორც სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა

#### 3.1 საპროცესო შეთანხმების განვითარების ისტორია საქართველოში

საპროცესო შეთანხმება სამართლებრივ სახელმწიფოებში წარმოიშვა დაჩქარებული და გამარტივებული სამართალწარმოების აუცილებლობიდან გამომდინარე. მათ რიგებს საქართველო 2004 წლიდან შეუერთდა როდესაც 13

თებერვალს საპროცესო შეთანხმება კანონით დამკვიდრდა. საპროცესო შეთანხმება მოქმედებს 2005 წლის იანვრიდან და დღემდე დიდი გზა გამოიარა, არაერთი ცვლილებით და მაინც ძირითადი მიზანი, რასაც იგი ემსახურება არის სისხლისამართლებრივი წარმოების გამარტივება, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება<sup>14</sup>, თუმცა თავიდანვე კრიტიკის საგანია სამართლის სფეროში თუ საზოგადოებაში. მინდა ავლიშნო, რომ ვინმესთვის შეიძლება ბევრიც იყოს მისი პროცესში დანერგვიდან დღემდე გასული დრო, მაგრამ ის საკმაოდ ახალი ინსტიტუტია იმის ფონზე, რომ ზოგიერთი პრინციპი დასაბამიდან არსებობს ქართულ საპროცესო კოდექსში, მაგრამ დღემდე პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე განიცდის გარკვეული რეფორმებს<sup>15</sup>. თუმცა ეს არ ამართლებს საპროცესო შეთანხმებისადმი საზოგადოების უნდობლობას. აუცილებელია საკანონმდებლო ინიციატივის კარგად მორგება სახელმწიფოზე და მის რეალობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მისი დანერგვა და არა პირიქით ჯერ შემოღება, იმის იმედად, რომ დრო აჩვენებს საჭირო ცვლილებების აუცილებლობას. საპროცესო შეთანხმება პირველად მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოიღეს და მანაც არაერთი ცვლილება განიცადა. დაუბრუნდეთ საქართველოში არსებულ რეალობას, საპროცესო შეთანხმება გულისხმობს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანას, ეს შეთანხმებაა პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის. 2014 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად სსსსკ-ში გაუქმდა საპროცესო შეთანხმება სასჯელზე და დღეის მდგომარეობით თუ ბრალდებული ბრალს არ აღიარებს შეუძლებელია საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ძველი კანონმდებლობა ითვალისწინებდა შეთანხმებას ბრალზე ან სასჯელზე, პირველ შემთხვევაში ბრალდებული აღიარებდა დანაშაულს და თანხმდებოდა სასჯელზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს, მაგრამ თანხმდებოდა პროკურორის მიერ შეთავაზებულ სასჯელის ზომასა და სახეზე. საპროცესო შეთანხმების მთავარი უპირატესობა გახლავთ ის, რომ სასამართლო

<sup>14</sup> ი.კოტეტიშვილი, საპროცესო შეთანხმება, შედარებითი მიმოხილვა.

<sup>15</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართლი, კერძო ნაწილი. 2017 წელი. ავტორთა ჯგუფი. გვ.566

გამოძიების გარეშე, მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებას უწყობს ხელს. მისასაღმებელია ისეთი ინსტიტუტის დანერგვა საპროცესო კონონმდებლობისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს სწრაფ მართლმსაჯულებას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავარი აქცენტი აქ არა სისწრაფეზე არამედ იმ შედეგების სამართლებრიობაზე უნდა გაკეთდეს, რასაც საპროცესო შეთანხმებით მივიღებთ, თორემ საპროცესო შეთანხმება უკვე სწრაფი მართლმსაჯულებაა რადგანაც საქმის არსებითი განხილვა აღარ მიმდინარეობს. ყველა საკითხს აქვს გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები. საქართველოში საპროცესო შეთანხმების არსებობის დადებით მხარედ შეიგვიძლია დავასახელოთ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება, რომელიც დროის, ენერჯისა და საშუალებების დაზოგვის გარდა არის გარანტია, რომ არ მოხდება სასამართლოთა გადატვირთვა განსახილველი საქმეებით და შეიძლება ითქვას თავიდან გვაციილებს სასჯელადსრულებათა დაწესებულებების გადატვირთვას. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს დავიწყოთ იმით, რომ იგი წინააღმდეგობაში მოდის არერთ სამართლებრივ პინციპთან როგორცაა შეჯიბრებითობის, გარემოებების სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევის, მტკიცებულებათა შინაგანი რწმენის, პროცესის უშუალოობისა და ზეპირობისა და თანასწორობის პრინციპები, მაშინ როცა მისი საფუძველი სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ პრინციპების განუხრელი დაცვით შეიძლება მივიღოთ სამართლებრივი შედეგები, საპროცესო შეთანხმება კი ეყრდნობა ერთ პრინციპს და ეწინააღმდეგება ბევრად მეტს <sup>16</sup>. პრაქტიკაში არსებობს მაგალითები, როცა ერთი და იმავე შემადგენლობის დანაშაულზე ინიშნება განსხვავებული ოდენობის ჯარიმა. კანონით მხოლოდ ჯარიმის მინიმალური ოდენობაა განსაზღვრული და ამის გარდა ბუნდოვანია როგორი სახის დანაშაულზე შეიძლება გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება. პროკურორი თავად წყეტს სასჯელის რომელ ზომას რა სახის შეთანხმება შეუსაბამოს, ისევე როგორც ჯარიმის რაოდენობას. მოსამართლეები და ადვოკატები აღნიშნავენ, რომ საპროცესო შეთანხმების გამოყენების კუთხით

---

<sup>16</sup> გ.ჭანტურიძე საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის საპროცესო პრინციპებთან მიმართებაში.

ერთერთი დიდი პრობლემა პროკურატურის არაერთგვაროვანი პრაქტიკაა, ამასთანავე ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ პროკურორების მხრიდან არ ხდება საპროცესო შეთანხმების დადების საჯარო ინტერესის დასაბუთებაც და იგი ფრმალური ხასიათისაა. საზოგადოებაში იბადება ეჭვი, რომ ცნობილი და მდიდარი ადამიანები არიან უპირატესობით აღჭურვილი, რადგან მეტი მატერიალური საშუალება აქვთ და შეუძლიათ უფრო მეტი გადაიხადონ ჯარიმის სახით ჩადენილ დანაშაულზე, ეს კი საზოგადოების ნაწილის მხრიდან აღიქმება, როგორც სახელმწიფოსაგან თავისუფლების ყიდვა. საზოგადოებაში გაბატონებულია აზრი, რომ ბრალდებულის გავლენა ან მატერიალური კეთილდღეობა ხშირად სასჯელის შემსუბუქების საფუძველი ხდება. რაც შეეხება პროკურორების განმარტებას, ისინი საუბარში ამბობენ, რომ მათი მხრიდან არაერთგვაროვანი მიდგომას არ აქვს ადგილი და ხაზს უსვამენ, რომ შეიძლება დაცვის მხარეს და ბრალდებულს რჩება ასეთი განცდა, მაგრამ პროკურატურის მხრიდან ხდება მხოლოდ საქმეთა ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინება და საქმეებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. საერთო ჯამში დამკვიდრებული და გაბატონებული აზრი მაინც უცვლელია, რომ არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომის პრობლემა მიუხედავად ამ ყოველივეზე პროკურატურის პასუხისა.<sup>17</sup> როგორც უკვე აღნიშნე პროკურორი არ არის შეზღუდული დანაშაულის კატეგორიის მიხედვით საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, ამან კი შეიძლება გამოიწვიოს საპროცესო შეთანხმებების გაფორმების კატასტროფული ზრდა, რადგანაც პროკურატურას კანონმდებლობა არ უწესებს არანაირ შეზღუდვას რომელ დანაშაულზე გააფორმოს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმებ, მიმაჩნია, რომ პროკურატურისთვის ასეთი ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება უნდა დაბალანსდეს კანონმდებლის მხრიდან, რადგანაც საფრთხე არ შეექმნას ბრალდებულის უფლებების ეფექტიანად დაცვას. რუსი მეცნიერი მიხაილ სტროგოვიჩი, გამოთქვამს მოსაზრებას პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე, რომელსაც სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელება წარმოადგენს. ის აღნიშნავს, რომ

---

<sup>17</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 12 ივნისის N13/42398 წერილი <sup>18</sup>  
М.С Строгович, Уголовное преследование в советском уголовном процессе Мс 1951.

დევნა არის საქმიანობა, რომელიც გამოიხატება მტკიცებულებათა შეგროვებაში და რომელიც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში, ყველაფერთან ერთად კი პროკურორმა უნდა უზრუნველყოს იმ მოქმედებების ჩატარება რომელთა საფუძველზეც შეძლებს სათანადო სასჯელის მოთხოვნას.<sup>18</sup> აღნიშნული დამოკიდებულება წარმოგიდგინეთ იმის საილუსტრაციოდ, რომ ქართული კანონმდებლობაც ითვალისწინებს პროკურორის ამ დისკრეციულ უფლებამოსილებას, მაგრამ ფაქტია მისი დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და საპროცესო შეთანხმებაში სარგებლობს შეუზღუდავი უფლებით, ნებიმიერ დანაშაულებრივ ქმედებაზე გააფორმოს საპროცესო შეთანხმება ბრალდებულთან, მაშინ როცა იგი ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს, რათა ბრალდებულს შეუფარდოს დამსახურებული სასჯელი. საზოგადოების მხრიდან სწორედ ის საკითხი იწვევს უკმაყოფილებას, რომ ბრალდებულთა ნაწილი საპროცესო შეთანხმების საუძველზე თავიდან იცილებს დამსახურებულ სასჯელს. კანონმდებლის შემოთავაზებული ფორმულირება იმისა თუ რა გარემოებებს უნდა ითვალისწინებდეს პროკურორი საპროცესო შეთანხმების დადებისას ძალზედ ზოგადია. თავდაპირველად საპროცესო შეთანხმება საქართველოში მხოლოდ კორუფციული შემთხვევების დროს გამოიყენებოდა, მაგრამ შემდგომ თითქმის ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებზე. მოგეხსენებათ არსებობს ისეთი დანაშაულები, რომლებიც მოითხოვს სამართალდამცავებისაგან მკაცრ რეაქციას, საზოგადოებაში კი ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ რამდენად შეიძლება მკვლელს ან მოძალადეს გაუფორმონ საპროცესო შეთანხმება? როგორც ვიცით საპროცესო შეთანხმება სულაც არ ნიშნავს დამნაშავის სასჯელისაგან გათავისუფლებას, მაგრამ კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი ჩანაწერის გამო საზოგადოებაში იქმნება საფუძვლიანი ეჭვი იმისა რომ პროკურორმა შესაძლოა არაადეკვატური სასჯელი მოითხოვოს დამნაშავის მიმართ და ამას სასამართლოც დათანხმდეს. ამ ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომლის მიხედვითაც დაზარალებულს არ აქვს უფლება გაასაჩივროს დაჩქარებული პროცესით გამოტანილი განაჩენი. ყოველივე ამის მიხედვით სავსებით რეალურია საზოგადოების შიში, რომ ზოგიერთი ბრალდებული ლმობიერად ან საერთოდაც არ ისჯება. ამის თავიდან ასაცილებლად კი

აუცილებელია მოხდეს დანაშაულთა კატეგორიების გამოყოფა, რომელზედაც შეიძლება გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის კანონმდებლობაშიც მსგავსი სიტუაციაა ამ კუთხით და ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების შემთხვევაში ყველა კატეგორიის დანაშაულზე შესაძლებელია მოხდეს საპროცესო შეთანხმება. თუ გადავხედავთ ინდოეთისა და საფრანგეთის კანონმდებლობასაც გერმანიასთან ერთად შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმება სხვადასხვა ფორმით არსებობს განსხვავებული სამართლებრივი მემკვიდრეობის ქვეყნებში. ამდენად გერმანიისათვის მიბაძვა, რამდენად გამართლებული შეიძლება იყოს ჩვენი სახელმწიფოსათვის მაშინ, როცა ჩვენ სხვა სამართლებრივი ისტორია გვაქვს. აქვე მინდა ხაზი გაუსვა საფრანგეთის მაგალითს, სადაც დღესდღეისობით საპროცესო შეთანხმებას იყენებენ იმ დანაშაულებზე, რომლის ჩადენისთვისაც კანონმდებლობით განსაზღვრული სასჯელი არ აღემატება 5 წლით თავისუფლების აღკვეთას.<sup>18</sup> საპროცესო შეთანხმების ქართული ვარიანტი უნაკლო არ არის წარსულ პრაქტიკაშიც იყო პრობლემა, როდესაც ბრალზე და სასჯელზე შეთანხმებები ნათლად არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან. პროფესორ გოგშელიძეს „სასჯელზე შეთანხმების“ ცალკე არსებობა ზედმეტადაც მიაჩნდა<sup>19</sup> ამავდროულად ჯ.გახოკიძისა და მ.მამნიაშვილის აზრით საპროცესო შეთანხმების დადების საფუძვლის ორად გაყოფა მეტად ზრდიდა საპროცესო შეთანხმების გამოყენების არეალს<sup>21</sup>. იმდენად ბუნდოვანი იყო სასჯელისა და ბრალის შეთანხმებების გამიჯვნა, რომ ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ბრალდებული შეჰყავდათ შეცდომაში, მაგალითად მიიღებდნენ ბრალზე შეთანხმებას და ამას ბრალდებულისაგან სასჯელზე თანხმობადაც აცხადებდნენ, მაშინ როცა ბრალდებული შესაძლოა ვერც ხედავდა ამ ორს შორის განსხვავებას, თითქოს ეს პრობლემა აღმოიფხვრა იმით, რომ გაუქმდა ბრალზე შეთანხმება<sup>20</sup>, მაგრამ თავი

---

<sup>18</sup> Messitte Peter J, Plea Bargaining in Various Criminal Justice amaontevideo, Uruguay.

<sup>19</sup> რ.გოგშელიძე, საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე? 2007 წელი, გვ.91

<sup>21</sup> საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი კერძო ნაწილი ჯ.გახოკიძე, ი.გაბისონია, გ.მამნიაშვილი. თბილისი 2015 წელი. გვ. 259.

<sup>20</sup> ნ.გვენეტაძე, მ.ტურავა, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი 2005 წელი. გვ 142.

იჩინა ახალმა პროლემამ, რომლის მიხედვითაც ბრალდებულს ბრალის აღიარების გარეშე არ შეუძლია გააფორმოს საპროცესო შეთანხმება. პროკურორები კი ბრალის აღიარების სანაცვლოდ ხშირ შემთხვევაში ბრალდებულებს სთავაზობენ არასახარბიელო პირობებს, მაგალითად როგორცაა კანონმდებლობით კონკრეტული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის უმნიშვნელოდ შემცირება. ბრალდებულთა უმრავლესობისათვის კი საპროცესო შეთანხმება აღიქმება ხსნად, მოსალოდნელი სასჯელის შიშიდან გამომდინარე, პროკურორები კი ბრალის აღიარების სანაცვლოდ სასჯელის შემცირებას ჰპირდებიან და ასეთი წინადადება იმდენად მაცდურია, რომ ბრალდებულები ვერ ასწრებენ გაიაზრონ ის ფაქტი, რომ დიდი მნიშვნელობა არ აქვს სასჯელს ისეთ შემცირებას, რომელსაც შეიძლება პროკურორი სთავაზობდეს საპროცესო შეთანხმებით. მსგავსი პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე იბადება კითხვა, რამდენად დაცულია ბრალდებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას?

როგორც ვიცით საპროცესო შეთანხმება არ წარმოშობს რაიმე იურიდიულ შედეგებს სასამართლოს მიერ მისი ლეგიტიმაციის გარეშე და ბრალდებულის მოტყუება არსებითი განხილვის გარეშე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, მაგრამ აქ თავს იჩენს მეორე პრობლემა ის თუ როგორ უნდა ამტკიცოს ბრალდებულმა მოტყუების, შეცდომაში შეყვანის ფაქტი მაშინ, როცა კანონმდებლობა ვერ ქმნის მყარ გარანტიებს იმისა, რომ დაცვის მხარემ საპროცესო შეთანხმებისას შეძლოს ბრალდებულის ეფექტიანი დაცვა. ადვოკატს უნდა მიეცეს დრო რომ საპროცესო დოკუმენტში ასახული პირობები განუმარტოს ბრალდებულს<sup>21</sup>. მოქმედ მოსამართლეებთან კონსულტაციის შემდეგ შეიძლება დასახელდეს პრაქტიკული მაგალითები, როდესაც პროცესებზე იკვეთება ბრალდებულსა და ადვოკატს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბრალდებული ხშირ შემთხვევაში არ გახლავთ საკმარისად ინფორმირებული იმის თაობაზე თუ რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს საპროცესო შეთანხმებას ან იმაზე, რომ საპროცესო შეთანხმება წარმოშობს ნასამართლეობას. ერთ-ერთმა მოსამართლემ აღნიშნა ისეთი ფაქტიც, როდესაც

---

<sup>21</sup> მოსამართლე კენედის სიტყვები.



ბრალდებული და ადვოკატი პირველად ერთმანეთს სასამართლო სხდომაზე შეხვდნენ, ეს კი ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ზოგიერთი ადვოკატი არასათანადოდ იცავს ბრალდებულის ინტერესებს და ხშირად თანხმდება ისეთ საპროცესო შეთანხმებას, რომელიც ბრალდებულისთვის საზიანოა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებმა განმარტეს, რომ ხშირად ისინი საქმეში ერთვებიან, როცა პროკურორს უკვე ჩამოყალიბებული აქვს საპროცესო შეთანხმების პირობები და აქიდან გამომდინარე საპროცესო შეთანხმების პირობებზე მოლაპარაკება ფორმალურ სახეს იძენს, პროკურორი მსგავს შემთხვევას თავისდა სასიკეთოდ იყენებს, ამიტომ კანონმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოსამართლე აღჭურვოს უფლებით რომლის წყალობითაც იგი შეძლებს დააბალანსოს პროკურორების უპირატესი მდგომარეობა, ხოლო ბრალდებულის მოტყუების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი დაეკისროს პროკურატურას. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება დღემდე განხილვის ობიექტია, სრულყოფილად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი რაც უარყოფითად აისახება საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკაზე. მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ კრიტიკა და განხილვა არ არის საკმარისი და აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა თორემ საპროცესო შეთანხმება მის ისტორიულ ქვეყანაშიც ამოქმედების დღიდან, მე-19 საუკუნიდან, ფართო განხილვის საგანია და დღეის მდგომარეობითაც, 2020 წელში, მრავალი კრიტიკოსი ჰყავს და ამის აღმოსაფხვრელად საკმარისი არც მსგავსი დამოკიდებულება აღომჩნდა და არც განვლილი საუკუნეები. საქართველოს პროკურატურის ანგარიშის მიხედვით საპროცესო შეთანხმების დამტკიცებლის მაჩვენებელმა დაიწყო კლება 2014 წლიდან და გამოიყურება შემდეგნაირად: 2014 წლამდე, იყო 90%-იანი მაჩვენებელი ხოლო 2014-2019 წლებში 63%-დან 70%-მდე<sup>24</sup>. თავის მხრივ საპროცესო შეთანხმება ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებასა და პროკურატურისა და სასამართლო სისტემის ძალიან დიდ ადამიანურ თუ ფინანსურ რესურსის დაზოგვას, მაგრამ ბრალდებულის მხრიდან საპროცესო შეთანხმება გულისხმობს უარის თქმას საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე, შესაბამისად იგი უარს ამბობს ამ ნაბიჯით სამართლიან სასამართლოზეც. რამდენად მისაღებია სამართლებრივ

სახელმწიფოში ბრალდებულისათვის ამ უფლებათა მსგავსი შეზღუდვა მისი სურვილის მიუხედავად?

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მოსამართლეს არ აქვს უფლება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გარეშე, ბრალდებულს დაუნიშნოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლები ან სხვა სასჯელი და ბრალდებულის ბედი პროცენტულად მეტად არს დამოკიდებული ბრალდების მხარეზე, სწორედ პროკურორი წყვეტს თუ რომელ დანაშაულზე სასჯელის რა ზომა შეუსაბამოს ბრალდებულის ქმედებას, ხოლო მოსამართლეს, იქიდან გამომდინარე, რომ ვერ ერევა საპროცესო შეთანხმებაში ისლა დარჩენია დაამტკიცოს ეს შეთანხმება ან უარი თვას მის დამტკიცებაზე. ამასთან დაკავშირებით ცვლილებების

<sup>24</sup> პროკურატურის სტატისტიკა, 2019 წლის მანძილზე საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები, გვ.38. [https://www.geostat.ge/media/23108/Report\\_marti-2019.pdf?fbclid=IwAR3MwxrFogwiTqPIObWorlXuPmKp9\\_Q\\_KKTyBQd-zEnmfJhxtUJf61\\_xC5k](https://www.geostat.ge/media/23108/Report_marti-2019.pdf?fbclid=IwAR3MwxrFogwiTqPIObWorlXuPmKp9_Q_KKTyBQd-zEnmfJhxtUJf61_xC5k) განხორციელებაზე, ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე საუბრობდა იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე, რაზედაც შემდეგი სახის კომენტარი გააკეთა ქალბატონმა ეკა ბესელიამ, კერძოდ მან დასვა შეკითხვა „რას შეცვლის ეს?“ მაშინ როცა საპროცესო შეთანხმება სრულად ჯდება პროკურატურის ფუნქციაში, შესაბამისად პროკურორს თუ არ სურს ნუ გააფორმებს საპროცესო შეთანხმებას მძიმე და განსაკუთრებულ მზიმე დანაშაულებზე, ამისათვის კი კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა გაუგებრად მიაჩნია, ვინაიდან მისი აზრით საპროცესო შეთანხმების გაფორმების მთავარ პრინციპზე ეს შეზღუდვა უარყოფითად იმოქმედებს, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებაზე, ბრალდებულს არანაირი მოტივაცია არ ექნება ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან, თუ მას ეცოდინება, რომ ამასთვის ის ვერანაირ შეღავათს ვერ მიიღებს. <sup>22</sup> ქართულ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტში პროკურორს აქვს უფლება უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე, ის აღჭურვილია უფლებით მსგავს

---

<sup>22</sup> გაზეთი „პრემიერი“ თ.კალანდაძე <http://premeri.ghn.ge/com/news/view/827?fbclid=IwAR1Z0PAoxb8hlwzhJ5qXXfwwJQJVQdgtRZuFS0bopyM-QHpJYsoQJRshjo>

შემთხვევაში არ დაასაბუთოს კონკრეტული მიზეზი. მიმაჩნია, რომ ეს მიდგომა იმის ფონზე რა უფლებებიც მოსამართლეს აქვს საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებაში, ბევრად გადამეტებულია. 2018 წელს განხორციელებული ცვლილებებით, როდესაც პროკურატურა მთლიანად გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და მთავრობას, ამ რეფორმით პროკურატურამ შეიძინა სრულიად დამოუკიდებელი ერთიანი და ცენტრალიზებული სისტემის სტატუსი რომელიც მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას და კანონს ემორჩილება და „დაუშვებელია პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა.“<sup>23</sup> მაგრამ აუცილებელია მოსამართლეს კანონმდებლობით მიენიჭოს უფლებამოსილება, თუკი არ შეიძლება ჩაერიოს საპროცესო შეთანხმების დადებაში, საპროცესო შეთანხმების გარეშე შეეძლოს უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. რადგანაც მას მხოლოდ ორი შესაძლებლობა აქვს დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, ხოლო უკანასკნელი შემთხვევის შედეგად უნდა დაიწყოს საქმის არსებითი განხილვა რამაც შესაძლოა ბრალდებულს არასახარბიელო შედეგები მოუტანოს. ამასთან ერთად თუ კანონმდებლობა ხაზს უსვამს, რომ საპროცესო შეთანხმება ემსახურება სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფას, რითი აიხსნება ის გარემოება, როდესაც საპროცესო შეთანხმება, პრაქტიკაში იდება საქმის არსებით განხილვის ეტაპზე ან სულაც სააპელაციო თუ საკასაციო განხილვისას ეს ხომ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. გასათვალისწინებელია ის შემთხვევაც, რამდენად შეესაბამება საპროცესო შეთანხმება სწრაფ მართლმსაჯულებას თუკი მოსამართლეს შეუძლია უარი თქვას მის გაფორმებაზე და დაიწყოს საქმის არსებითი განხილვა, რომელიც დაკავშირებულია დროის, ენერჯისა და სახელმწიფოს ხარჯებთან.

---

<sup>23</sup> საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, თბილისი, 2018 წელი, მე-6 მუხლი

### 3.2 საპროცესო შეთანხმების არსი

საპროცესო შეთანხმებას ქართულ კანონმდებლობაში, დათმობილი აქვს სსსსკ-ის XXI-ე თავი, იქვე 209 მუხლში წარმოდგენილია საპროცესო შეთანხმების არსი. კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით საპროცესო შეთანხმება გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანას, შეთანხმების საფუძველზე ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.<sup>24</sup> სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საკითხს იხილავს შესაბამისი სასამართლო სისხლის სამართლის განსჯადობის მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია, როგორც ბრალდებულს/მსჯავრდებულს, ისე პროკურორს.<sup>25</sup> სასამართლო ამოწმებს, საქმის მასალებზე დაყრდნობით და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე, რამდენად დასაბუთებულია ბრალდება, არეობს თუ არა კოდექსით გათვალისწინებული ყველა გარემოება და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი პროკურორის შუამდგომლობით განსაზღვრული სასჯელი, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისათვის. საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი მოიცავს სასამართლოს მიერ პროკურორის შუამდგომლობის განხილვის იმ სავალდებულო ჩამონათვალს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ და უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე თუ აღნიშნული მუხლის 2-ე ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე ვერ მიიღებს დამარწმუნებელ პასუხებს ბრალდების მხარისაგან.

სასამართლო ამოწმებს ბრალდების მხარისაგან წარმოდგენილია თუ არა იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა, რომ ბრალდებულმა მართლაც ჩაიდინა დანაშაული და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვს გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების/უარის შესახებ. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისათვის საკმარისი მტკიცებულებები, ასევე

<sup>24</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თავი XXI, მუხლი 209.

<sup>25</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის 1-ლი პრიმა.

დაკმაყოფილებულია 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, ეს პროკურორის შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში უნდა მოხდეს. სასამართლოს განაჩენი, კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და მხარეებს განაჩენის ასლები გადაეცემათ განაჩენის გამოტანიდან 3 დღის ვადაში, რის შემდეგაც უფლება აქვთ უარი საპროცესო შეთანხმებაზე გასაჩივრონ 15 დღის მანძილზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. რაც შეეხება მსჯავრდებულს, განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში, შეუძლია შეიტანოს საჩივარი განაჩენის გაუქმების თაობაზე, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

იმ შემთხვევაში თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება წამების, არაადამიანური მოპყრობის, დამცირების თუ სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან უკანონო დაპირების შედეგად არის დადებული, მოსამართლე საქმეს ზემდგომ პროკურორს გადასცემს, ეს უკანასკნელი კი საქმიანობის განხორციელებას სხა პროკურორს აკისრებს.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმებაში სასამართლოს მიერ ცვლილებების შეტანასთან დაკავსირებით, მაგრამ აუცილებელია მხარეთა თანხმობა ამასთან დაკავშრებით. რაც შეეხება ბრალდებულის უფლებას, განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე, რაზედაც არ სჭირდება ადვოკატის თანხმობა, გარდა ამისა დაუშვებელია მის მიერ მიცემული ჩვენების მის წინააღმდეგ გამოყენება. განაჩენის გამოტანის შემდეგ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა ბრალდებულის მხრიდან ყოვლად დაუშვებელია. განაჩენის გამოტანამდე მხარეებს შეუძლიათ შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები. საპროცესო კოდექსის XII თავი აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორცა დაზარალებულის როლი, უნდა აღინიშნის რომ 217-ე მუხლით განსაზღვრული დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას არის ბუნდოვანი და საჭიროებს დამატებას, რომელიც უფრო კონკრეტულად განხილულია მომდევნო ქვეთავში.

### 3.2 საქართველოს მაგალითზე დაზარალებულის როლი საპროცესო შეთანხმებაში

დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეა. მართალია დაზარალებული 2010 წლის 1-ლი ოქტომბრიდან მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მხარეს და მისი უფლებრივი მდგომარეობა შეიცვალა პროცესის მინაწილის სტატუსით, მაგრამ საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულისათვის იმ უფლების წართმევა, რასაც საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება ჰქვია და მისთვის მხოლოდ კონსულტაცია, იყოს ინფორმირებული რომ იდება საპროცესო შეთანხმება სამართლებრივ ჩარჩოებში არ ჯდება. კანონმდებლობა მიგვითითებს, რომ პროკურორმა კონსულტაცია უნდა გაიაროს დაზარალებულთან და აცნობოს საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.<sup>26</sup> მაგრამ აღნიშნული დებულება ბუნდოვანია, გაურკვეველია რა სახის კონსულტაცია შეიძლება იგულისხმებოდეს, ამასთანავე უპროგნოზოა პროკურორის დაზარალებულთან კონსულტაციის შედეგი. ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ დაზარალებულს ფაქტობრივად უფლებები არ გააჩნია. დაზარალებულის შეიძლება არ სურდეს საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს ბრალდებულისათვის შეთანხმებით გათვალისწინებული ნაკლები სასჯელი, რადგანაც დაზარალებულთა უმრავლესობა ყოველთვის მიილტვის იმისკენ, რომ ბრალდებულმა მაქსიმალური სასჯელით აგოს პასუხი ჩადენილ ქმედებაზე. კანონის მიხედვით კი გამოდის, რომ შეიძლება მხარეები მივიდნენ საპროცესო შეთანხმებამდე, მაგრამ დაზარალებულის

---

<sup>26</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. გვ186.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=118>

დამოკიდებულებაზე დიდი მნიშვნელობა სახელმწიფო ბრალმდებელის, პროკურორის პოზიციას აქვს. თუ დავფიქრდებით, ერთი შეხედვით სახელმწიფო ორიენტირებულია სწრაფ მართლმსაჯულებაზე, შესაბამისად სახელმწიფო ბრალმდებელი ცდილობს საქმეთა უმრავლესობა საპროცესო შეთანხმებით დაასრულოს, ამის ნათელი მაგალითია სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ცხადყოფს საპროცესო შეთანხმებების რაოდენობის დიდი სისწრაფით ზრდას, ეს ბევრად მარტივია და ამავდროულად ითვალისწინებს სახელმწიფო ინტერესს. საზოგადოების მხრიდან საპროცესო შეთანხმებები და ზოგადად პროკურატურის საქმიანობა ხშირად აღიქმება პოლიტიკური ზეგავლენით მართვად ქმედებებად, რომელიც ასრულებს პოლიტიკურ დაკვეთებს ამის დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიშველიოთ „ეისითის“ გამოკითხვა რომელშიც ნათლად ჩანს, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილის აზრით პროკურატურა რიგ საკითხებში არ არის დამოუკიდებელი და ხელმძღვანელობს სახელმწიფო, პოლიტიკური მითითებებით.<sup>27</sup> ფაქტია რომ პროკურატურა არის სახელმწიფო ბრალმდებელი და იგი ითვალისწინებს სახელმწიფოს ინტერესებს. ხოლო მეორე მხრივ დაზარალებულთა რაღაც ნაწილი, რომელიც დაზარალებულის სტატუსიდან გამომდინარე შეიძლება იყოს პიროვნება რომელსაც კონკრეტული ფიზიკური, მატერიალური, მორალური ზანი მიადგა და სურს ბრალდებულმა პასუხი აგოს ყოველგვარი შეღავათის გარეშე, მაქსიმალური სასჯელით, არამგონია ფიქრობდეს სწრაფ მართლმსაჯულებაზე. მსგავს შემთხვევაში დაზარალებულს მხოლოდ ის გზა რჩება შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვით. მინდა გავიხსენო ისეთი პრაქტიკული შემთხვევა, როდესაც მხარეებმა მოილაპარაკეს საპროცესო შეთანხმებაზე, მაგრამ ბრალდების მხარე ვერ დაუკავშირდა დაზარალებულს და პროცესი გადაიდო იმ მიზეზით, რომ დაზარალებული არ იყო ინფორმირებული საპროცესო შეთანხმებაზე და არც სასამართლო პროცესზე გამოცხადდა. მსგავს სიტუაციებში ხომ არ იქნება ფონი, რომ არ არსებობს

---

<sup>27</sup> „ეისითის“ მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადებული ანგარიში.

[http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7951UNDP\\_GE\\_DG\\_Human\\_Rights\\_Survey\\_2017\\_geo.pdf](http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7951UNDP_GE_DG_Human_Rights_Survey_2017_geo.pdf) გვ.64

დაზარალებული და შესაბამისად არ არსებობს დანაშაულიც. როგორ უნდა მოიქცნენ მსგავ სიტუაციაში მხარეები და სასამართლო მაშინ როცა კანონმდებლობა გვაკლდებულებს დაზარალებულის ინფორმირებას საპროცესო შეთანხმებაზე მაგრამ დაზარალებულთან დაკავშირება ვერ ხერხდება? რა საჭიროა კანონით გაწერილი ეს ფორმალობა თუკი დაზარალებულის დამოკიდებულებას არსებითი მნიშვნელობა მაინც არ აქვს? ეს ხომ შედეგად მხოლოდ იმას მოიტანს, რომ პროცესი გადაიდება და სწრაფი მართლმსაჯულებაც გაჭიანურდება. ჩვენი ქვეყნისაგან განსხვავებით სლოვაკეთში, საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობას იღებს დაზარალებულიც. ხოლო აშშ-ში დაარალებული წერილობით წარუდგენს თავის მოსაზრებას სასამართლოს რასაც მოსამართლე აუცილებლად ითვალისწინებს. ინდოეთში კი მოსამართლე არ დაამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას თუ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდა. საქართველოში დაზარალებულის წერილობითი ან ზეპირი

მოხსენება რაიმე გავლენას არ ახდენს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე და ეს მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებს, რადგანაც დაზარალებულისათვის ამას არ შეუძლია სასურველი შედეგის მოტანა, დაზარალებულს უფლება არ აქვს სისხლის სამართალწარმოების წესით მოითხოვის ზიანის ანაზღაურება და ჩვენი კანონმდებლობა მხოლოდ სამოქალაქო სამართლით აწესრიგებს აღნიშნულის მოთხოვნას.

### 3.3 რატომ თანხმდებიან ბრალდებულები საპროცესო შეთანხმებას?

იმიტომ, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდებულს შესაძლებლობას აძლევს თავიდან აიცილოს იმ სასჯელის რისკი, რომელიც შეიძლება სასამართლო პროცესის შემდეგ დაემუქროს, თუ იმიტომ, რომ პროკურორი შეიყვანოს შეცდომაში თითქოს სურს საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ბოლო მომენტში კი



გამოიყენოს უარის თქმის უფლება, რომელსაც კანონმდებლობა ანიჭებს და ამ ხრიკით „დრო მოგოს“? რამდენად უქმნის ეს საფრთხეს სწრაფ მართლმსაჯულებას? ბრალდებულის მსგავსი ქმედება ხომ საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ ის ცდილობს დროის გაჭიანურებას. უფლებათა ბილის მეექვსე შესწორების მიხედვით ბრალდებულს გარანტირებული აქვს სისხლისამართლებრივი დევნის ყველა შემთხვევაში სწრაფი და საჯარო სასამართლოს უფლება, მიუკერძოვებელი მსაჯულების მონაწილეობით. სწორედ სწრაფი მართლმსაჯულების უფლება გახდა საპროცესო შეთანხმების საფუძველი. ბრალდებულს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლება ნებისმიერ დროს უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე. მაგალითად, მხარეებმა მოილაპარაკეს საპროცესო შეთანხმებაზე, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მის გასაფორმებლად გამოცხადნენ სასამართლოში, მაგრამ ბრალდებულმა ბოლო მომენტში უარი განაცხადა შეთანხმების გაფორმებაზე. აღნიშნული მაგალითის საფუძველზე ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ დაცვის მხარის მხრიდან, ბრალდებულის მსგავსი ქმედება ემსახურება ერთგვარ დროის მოგების მიზანს, ეს ყოველივე კი სწრაფი მართლმსაჯულებისათვის პირდაპირი ხელისშემშლაა მაშინ როცა საპროცესო შეთანხმების მიზანი მსგავსი შეთანხმებით სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაა. როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან მსგავსი შემთხვევები, როდესაც ბრალდებულს მსგავსი უარის თქმის უფლებას კანონმდებლობა აძლევს?

განვიხილოთ მაგალითი: 1973 წელს სპირო ტეოდორ ეგნიუს ამერიკის შეერთებულ შტატების 39-ე პრეზიდენტს წარუდგინეს ბრალდება თაღლითური გზით გადასახადების დამალვასა და გამოძალვაში მან ვერ შეძლო 1967 წელს 29.500 აშშ დოლარის ოდენობით მიღებული შემოსავლის დასაბუთება. მან არ მოისურვა ბრალდებების განხილვა სასამართლოში, მოსალოდნელი მძიმე სასჯელის სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმების შედეგად სასამართლომ იგი დააჯარიმა 10.000 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმით და მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც პირობითად ჩაუთვალეს, შეთანხმების ერთ-ერთი პირობა იყო მისი

გადადგომა<sup>28</sup>. მოცემული მაგალითში მინდა თქვნი ყურადღება მივმართო იმისკენ რომ საპროცესო შეთანხმებით, მხოლოდ 10.000 აშშ დოლარით გამოისყიდა პრეზიდენტმა თაღლითური გზით და გადასახადების დამალვით მოპოვებული 29.500 აშშ დოლარი, ამასთან ერთად პატიმრობაც პირობითად ჩაუთვალეს, ერთადერთი რაც ამ კაცმა დაკარგა პრეზიდენტის სტატუსი იყო თორემ ჯარიმა მის მიერ უკანონოდ მითვისებული თანხის თითქმის მესამედი იყო ანუ ბევრად მეტი შერჩა ვიდრე ჯარიმა გადიხადა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის საქართველოს მაგალითი აქ თითქმის ყველა ის კომპონენტი ერთადაა თავმოყრილი, რაც ჩვენს საზოგადოებაში უნდობლობას იწვევს. მსგავსი საპროცესო შეთანხმება არ შეესაბამება სწრაფ მართლმსაჯულებას, ყველა მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, რომ ეს არის თავისუფლების ფულით ყიდვა და არა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება. მსგავს შემთხვევებს საქართველოშიც ხშირად აქვს ადგილი, როდესაც ცნობილ, გავლენიან ადამიანებს ათავისუფლებენ ჯარიმით ხოლო იგივე დანაშაულში ბრალდებულ ჩვეულებრივი მატერიალური შესაძლებლობის მოქალაქეს რომელსაც არ აქვს დიდი ოდენობით ჯარიმის გადახდის შესძლებლობა სხვა გზა აღარ დარჩენია გარდა იმისა დათანხმდეს პროკურორის მიერ შემოთავაზებულ საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებულ, ნაკლებ სასჯელს, ნაკლები სასჯელი ვიდრე ყველა ბრალის აღიარება, ან საერთოდაც მოსალოდნელი უფრო მკაცრი სასჯელის შიშით. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ მომზადებულ 2019 წლის თვისობრივი კვლევის მიხედვით, მოსამართლეთა მცირე ნაწილი ფიქრობს რომ კარგი იქნება საპროცესო შეთანხმების არდამტკიცების ნაცვლად, მოსამართლეებს საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა შეეძლოთ, განსაკუთრებით მაშინ როცა ხედავენ, რომ ბრალდებულისათვის შეთავაზებული პირობები არასამართლებრივია, ამავდროულად მოსამართლეთა ნაწილი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება საპროცესო შეთანხმების ბუნებას. მოსამართლეთა ნაწილმა კი აღნიშნა, რომ თუკი მათ ექნებათ უფლება კანონით

---

<sup>28</sup> Myadvokat.ge საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შესახებ.  
[https://www.myadvokat.ge/ka/blog/769?fbclid=IwAR1JWTVhvxrkQq21\\_zCT2ZiTyA8AjC\\_EDTIBBKu\\_G3RfOuOQ9eHCPdmRAzM](https://www.myadvokat.ge/ka/blog/769?fbclid=IwAR1JWTVhvxrkQq21_zCT2ZiTyA8AjC_EDTIBBKu_G3RfOuOQ9eHCPdmRAzM)

განსაზღვრულ მინიმუმზე უფრო ნაკლები მიუსაჯონ ბრალდებულს, შემცირდება საპროცესო შეთანხმებების რაოდენობა რადგან ბრალდებულს ექნება ნაკლები სასჯელის მოლოდინი და შესაძლებელია მან საპროცესო შეთანხმებაში მონაწილეობა არ ისურვოს.<sup>29</sup> ამავე კვლევაში ადვოკატების ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსამართლეს უნდა შეეძლოს გარკვეული ცვლილებების შეტანა საპროცესო შეთანხმებაში, რადგანაც თუკი არ იზიარებს პოპულორის მოსაზრებას სასჯელთან დაკავშირებით, შეუძლია უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე, ამას კი საქმის არსებითი განხილვა მოსდევს და შესაძლოა ბრალდებულს უფრო მაღალი სასჯელიც კი დაეკისროს. ყველაფერთან ერთად საპროცესო შეთანხმების გამოყენებისას არის რისკი რომ დაირღვევა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ აღიარებული სამართლანი სასამართლო განხილვის უფლება, ამის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია პასუხისმგებლობა აიღოს სასამართლომ რომ ბრალდებულის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს არ მიაღება საფრთხე.

---

<sup>29</sup> მოსამართლის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. (EMC) 2019.17-19.

## თავი IV. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა

### 4.1. ელექტრონული მართლმსაჯულების განვითარების ისტორია

#### საქართველოში

21-ე საუკუნეში ტექნიკური პროგრესის ფონზე კერძო პირებს შორის ურთიერთობამ ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა. ინტერნეტი, როგორც ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება და Wi-Fi ტექნოლოგია ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა<sup>33</sup>. თანამედროვე ელექტრკავშირგაბმულობის ქსელები და მოწყობილობები გვადლევს, დროის უმოკლეს მონაკვეთში დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან დიდ მანძილზე სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადაცემის, გავრცელებისა და მიღების შესაძლებლობას.

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა არის ინოვაციური და პროგრესული პროდუქტი. საქართველოში ელექტრონული სისტემების განვითარება 2003 წლიდან, ხელისუფლების შეცვლის შემდგომ, დაიწყო. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ 2000 წლიდანვე აქტუალურია ელექტრონული საქმისწარმოების იდეა. მაგრამ პირველი მცდელობები კრახით დასრულდა. მარცხის მთავარი მიზეზი კი პროექტში ჩართული ის პიროვნებები იყვნენ ვისაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა სასამართლო სისტემაზე, ასევე მთავარ მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ პროექტში მონაწილეობდნენ მხოლოდ პროგრამისტები და გვერდზე დარჩნენ სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეები თუ მუშაკები. მიუხედავად ამ

წარმატებლობისა, მუდმივად მიმდინარეობდა დისკუსიები საქმეთა ელექტრონულად წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, რომ სასამართლოს საქმიანობის 60%-ს სწორედ ტექნიკური სამუშაო წარმოადგენს, ამიტომაც არსებობდა პრაქტიკული საჭიროება ელექტრონული სისტემის დასანერგად, რაც სასამართლოს თანამშრომლების დროსა და ენერჯის დაზოგავდა. მართლაც, გარდა აღნიშნული დროისა თუ ენერჯის დაზოგვისა ამ

<sup>33</sup> თ.გეგშიძე. გვ.44

<http://www.dgstz.de/storage/documents/EPaTj4ZEVZBpS8RJ9TnqdQPhAYBkWWOmH5eDgXEs.pdf>

Advance Edited Version.

[https://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/RegularSessions/Session27/Documents/A.HRC.27.37\\_en.pdf](https://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/RegularSessions/Session27/Documents/A.HRC.27.37_en.pdf)

სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო სასამართლოს გამჭირვალობასა და დამოუკიდებლობას. 2005-2006 წლებში აქტიურად განიხილებოდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შექმნა, მრავალი ორგანიზაცია უჭერდა მხარს მის შემოღებას, მაგრამ პროგრამის შექმნის დასაფინანსებლად საჭირო იყო სოლიდური თანხები და ორგანიზაციები ვერ რისკავდნენ პროექტის დაფინანსებას იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაში არსებული სხვა სახელმწიფოების გამოცდილებით შეიძლებოდა სისტემა კარგად ვერ ამუშავებულიყო. პროგრამის შექმნა დაფინანსდა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. საქმის ელექტრონული წარმების პროგრამის შექმნაზე 2007 წელს დაიწყო აქტიური პროცესები რომელშიც უკვე ჩართული იყვნენ უშუალოდ მოსამართლეები, თანამემწეები, კანცელარიის თანამშრომლები, ეს პროცესები მეტად რთული და დროში გახანგრძლივებული იყო. საქართველომ უზენაეს სასამართლოში, 2011 წლის 13 ოქტომბერს გაიმართა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია. უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის განცხადებით ელექტრონული სისტემით უფრო მარტივი და მოქნილი გახდებოდა ინფორმაციის დამუშავება, გაცვლა და შენახვა უფრო სწრაფ დროში. ელექტრონული სისტემის წყალობით შესაძლებელი იქნებოდა დროისა და საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი დაზოგვა და ეს სისახლე გაზრდიდა

სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობას.<sup>30</sup> პროგრამის შექმნაზე რთული მისი სასამართლო პრაქტიკაში სწორი დანერგვაა, საბედნიეროდ ჩვენი სახელმწიფოს სასამართლო სტრუქტურამ, სხვა ბევრი სახელმწიფოსაგან განსხვავებით, სადაც ვერ მოხერხდა სატესტო რეჟიმის დაძლევა, კარგად გაართვა თავი პროგრამის პრაქტიკაში ფუნქციონირებას. დღესდღეისობით საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით სარგებლობს 245-ზე მეტი

სახელმწიფო უწყება და ორგანიზაცია.<sup>31</sup> აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოველთვის არსებობს სიახლის შიში, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოებში ელექტრონული სისტემის დანერგვამ საქართველოში გააუმჯობესა სასამართლოს საქმიანობის ხარისხი და სისწრაფე.

#### 4.2. საპროცესო შეთანხმება ელექტრონულად.

თანამდროვე ტექნოლოგიები მუდმივად და სწრაფი ტემპით ვითარდება. დღევანდელ რეალობაში წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე არსებობა, რადგანაც ჩვენი ყოველდღირობა მეტწილად გადასულია ელექტრონულ პროცესებზე. თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობები გვამღებს დროის დაზოგვის საშუალებას, ამასთანავე უზრუნველყოფს მარტივ, სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას. მიუხედავად ამ ყველაფრისა, რამოდენიმე თვის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დისტანციურად ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შესაძლებელი იქნებოდა სასამართლოში წარგდენა იქ მისვლის გარეშე. ჯერ კიდევ 2015 წელს, თ.დარჯანია განიხილავდა საკითხს, რომ საქართველოს

---

<sup>30</sup> <http://www.supremecourt.ge/news/id/88> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი.

<sup>31</sup> <https://fas.ge/Products/eDocument/About>

სასამართლოების ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა არ არის შორს იმ შესაძლებლობისაგან, რასაც დისტანციური საქმისწარმოება ჰქვია<sup>32</sup>, თუმცა მისი პრაქტიკაში დანერგვის იდეა არ ყოფილა ხმამაღლა გაჟღერებული.

2020 წლის დასაწყისიდან მთელი მსოფლიო დადგა ახალი გამოწვევის წინაშე სახელად COVID-19, რომელთან გასამკლავებლად სახელმწიფოების უმრავლესობა იძულებული გახდა გამოეცხადებინათ საგანგებო მდგომარეობა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2020 წლის 21 მარტიდან 21 აპრილამდე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. მთავრობის 2020 წლის 23 მარტის დადგენილებით განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი დადგინდა ელექტრონულ საქმისწარმოებასთან, ადმინისტრაციულ წარმოებასა და საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით<sup>33</sup>. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საგანგებო მდგომარეობა უცხო სიახლე არ არის და მას საკმაოდ ფართო ლიტერატურა ეძღვნება ძირითადი უფლებებიდან და თავისუფლებებიდან დეგრადაციის საკითხთან ერთად, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ისე კონსტიტუციური სამართლის გადმოსახედიდან.

პანდემიის პირობებში აქტუალური საკითხი გახდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ამასთანავე საკანონმდებლო ორგანოს როლი ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის ფონზე და ის საფრთხეები, რომელსაც შეიძლება თავი ეჩინა ხელისუფლების მხრიდან უფლებამოსილების განხორციელებისას. ამავდროულად განხილვის საგნად იქცა ის საკითხი, თუ რამდენად მოხდებოდა სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის სრულყოფილი დაცვა მაშინ, როცა საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები იზღუდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო იყო უშუალოდ პროცესის მონაწილეთა მოსაზრებები, ამიტომაც გონივრულად ჩავთვალო

---

<sup>32</sup> თ.დარჯანია სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, თბილისი 2015წ, გვ.4  
<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/212257/1/SasamartlosSagmiscarmoebisEleqtronuliSite ma.pdf>

<sup>33</sup> IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

მოსამართლეებთან, ადვოკატებსა და პროკურორებთან კონსულტაცია. მათთან კომუნიკაციის შედეგად ცალსახად გამოიკვეთა საქართველოს მთავრობის მიერ სწრაფი რეაგირება, რათა პანდემიას საფრთხე არ შეექმნა სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულებისათვის. ერთ-ერთმა პროკურორმა აღნიშნა, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე გადავიდნენ ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით სასამართლო ორგანოებთან კავშირზე და რომ საპროცესო შეთანხმების პროცესებზე ერთვებოდნენ ელექტრონულად. საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სატელეფონო კავშირით ბრალდებულსა და ადვოკატთან. ადვოკატმა განმიმარტა, რომ პროცესების შეფერხებას ადგილი არ ჰქონია, თუმცა აღნიშნა რომ ერთ-ერთ პროცესზე მოუწია ქუჩაში, ავტომობილიდან ჩართვა, მიზეზად დაასახელა, რომ პროკურორს სხვა პროცესი ჰქონდა, რის გამოც ზუსტ დროზე ვერ მოხერხდა ჩანიშნული პროცესის დაწყება, ხოლო ადვოკატმა ივარაუდა, რომ მოასწრებდა ბიუროში მისვლას მანამ სანამ პროკურორი სხვა პროცესს მორჩებოდა, მაგრამ პროცესი იმაზე ბევრად ადრე დასრულდა ვიდრე ის ვარაუდობდა, ამიტომაც მოუწია მანქანიდან ჩართვა, თუმცა ამას არც მისთვის და არც პროცესში მონაწილე პიროვნებებისათვის არ შეუქმნია დისკომფორტი. ასევე თქვა, რომ მიესალმება საქის განხილვის მსგავს ფორმას რადგანაც, ნაკლებ დროსა და ენერჯიას ხარჯავს, არ სჭირდება ტრანსპორტირება სასამართლომდე, რაც თავის მხრივ გზაში დაკარგულ დროსთან ასოცირდება. ადვოკატმა ასევე საბუარში აღნიშნა რომ ბრალდებულისათვის პროცესის ეს ფორმა ბევრად მისაღები იყო იმ კუთხით, რომ პროცესზე ჩართული არ იყვნენ გარეშე პირები. აღნიშნულთან დაკავშირებით გამიჩნდა ლოგიკური კითხვა თუ რამდენად ეწინააღმდეგება ეს საქვეყნობის, საჯაროობისა და საერთოდ გამჭვირვალობის პრინციპს? რაზედაც ადვოკატმა მიპასუხა, რომ ამას ამართლებდა საგანგებო მდგომარეობა, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა პროცესების მსგავსი ფორმით წარმართვა და რომ პროცესებზე ხორციელდებოდა მონიტორინგი, რითიც ბალანსდებოდა საჯაროობის პრინციპის შეზღუდვა. პროცესის მხარეებთან კომუნიკაციისას ასევე დავინტერესდი სხდომის მდივნის ფუნქცია მოვაეობებით, რადგანაც მეგონა, რომ ის ფუნქცია, რომელიც მას რეალურ პროცესზე ჰქონდა აღარ იქნებოდა საჭირო იქიდან გამომდინარე, რომ თავად მოსამართლეც შეძლებდა



ლილაკზე თითის დაჭერით პროცესის ჩაწერას თუმცა ისევე, როგორც პროკურორმა ადვოკატმაც განმიმარტა, რომ სხდომის მდივნის ფუნქცია მოვალეობები არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი მხარეების დროულ ჩართვას აკონტროლებდნენ პროცესებზე და ამას სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებებით არეგულირებდნენ, გარდა ამის კავშირი ჰქონდათ მონიტორინგის წარმომადგენლებთან, რომლებიც აქტიურად ესწრებოდნენ პროცესებს.

ერთი შეხედვით შორიდან ყველაფერი მარტივი ჩანს, მაგრამ სასამართლო სისტემაში მომუშავე პიროვნებებს, აგრეთვე პროკურორებსა და ადვოკატებს, ფაქტია კარგად ჰქონდათ გააზრებული განსახილველი საქმეების ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებებით მიმდინარეობის აუცილებლობა. პირველ რიგში, პროცესების დისტანციურად წარმართვა ქვეყანაში არსებული პანდემიის პირობებში, იყო საუკეთესო თავდაცვის საშუალება და ამ გზით მოხდა იმ საფრთხის მინიმუმამდე შემცირება, რასაც ვირუსის გავრცელება ჰქვია. ყველაფერთან ერთად მინდა ავლნიშნო, რომ არაერთი ადვოკატი, პროკურორი თუ სასამართლო სისტემის წარმომადგენელი, ჯერ კიდევ ვირუსის აღმოჩენამდე მივლინებით იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნაწილი გადაიყვანეს კარანტინში, ხოლო დანარჩენებს შეეხოთ თვითიზოლაცია. რაც შეეხება იმ პროცესებს, რმლებშიც მათ უშუალოდ უნდა მიეღოთ მონაწილეობა, უმრავლესობა გადაიდო სწორედ იმ მოტივით, რომ ფიზიკურად ვერ გამოცხადდებოდნენ სასამართლოში და ამ მიზეზით ბრალდებული დაცვის გარეშე რჩებოდა, სახელმწიფო ბრალმდებლის და ზოგიერთი პროცესი საერთოდაც მოსამართლის გარეშე.

მთავარი განსახილველი საკითხი ჩემი მხრიდან გახლავთ, ის თუ რამდენად მისაღებია საპროცესო შეთანხმების ელექტრონულად, ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებებით განხილვა, როდესაც ამ ფორმით ირღვევ საქვეყნოობის პრინციპი? ასეთი ფორმით საპროცესო შეთანხმების გაფორმება ხომ პირდაპირ დარტყმას აყენებს სამართლიანი პროცესის პრინციპს. რამდენად შეიძლება მისი ამ ფორმით სმომავლოდ პრაქტიკაში დანერგვა? როგორც უკვე ავლნიშნეთ საპროცესო შეთანხმება ეფუძნება სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს. ფაქტია ჩვენი

სახელმწიფოს კანონმდებლობაში, საპროცესო შეთანხმების დანერგვა მიუთითებს სწრაფი მართლმსაჯულებისაკენ სწრაფვას, რომლის მიზნადაც ყოველთვის დროის, ენერჯისა და საშუალებების დაზოგვაა დასახელებული. სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ საპროცესო შეთანხმების ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებით გაფორმება ბევრად სწრაფი და მოსახერხებელია, ამასთანავე უზრუნველყოფს სწორედ დროის, ენერჯისა და სახელმწიფოს ხარჯების დაზოგვას ვთვლი ღირს მსჯელობა მსგავსი მეთოდის პრაქტიკაში დანერგვამ რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოგვცინოს.

ისევე როგორც თავად საპროცესო შეთანხმების, ასევე მის შორეულ თუ ახლო პერსპექტივაში ელექტრონულად გაფორმებას აქვს, როგორც დადებით ასევე უარყოფითი მხარეები. ერთი შეხედვით პირადად უფრო ბევრ უარყოფით მხარეს ვხედავ, გამომდინარე იქიდან, რომ ჯერ ერთი ჩვენი კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის კონკრეტული დანაშაულები, რომელზედაც შეიძლება გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება, ამდენად წარმოუდგენლად მიმაჩნია ყველა ტიპის დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების დადება მითუმეტეს ელექტრონული გაფორმება. იურდიულ დოქტრინაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ საპროცესო შეთანხმება უზრუნველყოფს სწრაფ მართლმსაჯულებას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს სამართლიანი პროცესის პრინციპი, რომელიც მოიცავს საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლებას. თუ ჩავუღრმავდებით, კარგად ჩანს ის სირთულეები, რასთანაც არის დაკავშირებული საპროცესო შეთანხმებების ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებებით გაფორმება, უფრო კონკრეტულად კი თუკი სასამართლოში მხარეებს მისვლა აღარ იქნება საჭირო და ისინი ელექტრონულად ჩაერთვებიან პროცესებზე, თითქოს იკარგება სასამართლოს, აგრეთვე პროკურატურისა და ბიუროების, როგორც ორგანოს ფუნქცია. ყველა შემდგომ ჩაერთოს პროცესზე თუნდაც სახლიდან, კანონმდებლობით კი ძალიან რთული იქნება ყველა დეტალის გათვალისწინება და მოგვარება, ისეთების როგორიცაა დრესკოდი, კონკრეტული ადგილი საიდანაც შეიძლება მოხდეს მხარეთა ჩართვა და სხვა ბევრი რამ, რასაც შემდეგ პრაქტიკა აჩვენებს. რაც შეეხება საზოგადოებას, მათ ვერ შევუზღუდავთ პროცესებზე დასწრების უფლებას და

წარმოიდგინეთ სიტუაცია, რა მოხდება თუკი მოქალაქეებს მიეცემათ უფლება დაესწრონ პროცესებს იგივე ფორმით, როგორც მხარეები და სასამართლო ორგანოს წარმომადგენლები. გასაგებია რომ არსებობს ძლიერი „აპები“ რომლითაც დღეს მთელი მსოფლიო სარგებლობს და ისინი იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთდროულად განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანი ჩაერთოს ინტერნეტ სივრცეში ერთდროულად, აგრეთვე არსებობს „აპები“ რომლებსაც აქვს საკობრივი შეზღუდვა, მაგრამ როგორ შეიძლება მოწესრიგდეს სხვა შეზღუდვები, რომლებიც ვრცელდება სასამართლო პროცესებზე დამსწრებ პიროვნებების მიმართ? კონკრეტულად ერთ მაგალითს დავასახელებ, რითი შეიძლება თავიდან ავიცილოთ, რომ პროცესზე ელექტრონულად არ ჩაერთვება ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი პიროვნება? ალბათ ამ შემთხვევაში ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს ხმის გათიშვის ფუნქცია, რომლიც იქნება ლოგიკური შეზღუდვა, რადგანაც რეალურ პროცესებზეც დამსწრეებს არ აქვთ საუბრის უფლება და ელექტრონულად ბევრად მარტივი მოსაწესრიგებელი იქნება იმ საფრთხის აღმოფხვრა რასაც რეალურ პროცესებზე ხშირად აქვს ადგილი, მაგალითად ხმაური, სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვა. მაგრამ როგორ უნდა შემოწმდეს უშუალოდ პროცესში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლების მდგობარეობა იგვე ალკოჰოლურ ან თუნდაც ნარკოტიკულ თრობაზე? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ საპროცესო შეთანხმებებს უნდა გვახსოვდეს, რომ კანონით საპროცესო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. მაგალითად საქმე დასრულდა და გადაეცა აპელაციას, სადაც მხარეებს შორის დაიწყო მოლაპარაკება საპროცესოზე რა მდგომარეობა შეიქმნება? პირველ ინსტანციაში საქმე მიმდინარეობდა უშუალოდ სასამართლოში და შემდეგ, რადგან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე მოილაპარაკეს მხარეებმა საქმე უნდა გაგრძელდეს ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებით და საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს ელექტრონულად? ამასთანავე თუკი საპროცესო შეთანხმების და მითუმეტეს მისი ელექტრონული დანერგვის მიზანი სწრაფი მართლმსაჯულებაა, განხილული მაგალითი, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სწრაფ მართლმსაჯულებად, თუკი დრო, ენერჯია, ძალისხმევა და სახელმწიფო ხარჯებია გაწეული? გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ყველა ადამიანი

ინდივიდუალურია და შესაბამისად ზოგი მეტადაა განვითარებული ზოგი ნაკლებად. ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ 21-ე საუკუნე ტექნოლოგიური განვითარების აღორძინების ეპოქაა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ მსგავს ტექნოლოგიებთან საზოგადოების ნაწილს არასახარბიელო დამოკიდებულება აქვს, ნაწილს კიდევ არ აქვს ფუფუნება ჰქონდეს ინტერნეტკომუნიკაციის მოწყობილობები.

სამართლებრივ ლიტერატურაში, სადაც განხილულია საპროცესო შეთანხმება, ძირითადად ნაჩვენებია, როგორც დადებითი ისევე უარყოფითი მხარეები, იმ ლიტერატურებზე დაყრდნობით, რომელსაც პირადად გავცნობივარ შემიძლია ვთქვა, რომ საპროცესო შეთანხმების ელექტრონულად გაფორმების შემთხვევაში მასზე მემკვიდრეობით გადმოვა ის უარყოფითი ნიშნები, რაც უშუალოდ საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებაში მუდმივად კრიტიკის საგანია. რაც შეეხება დადებით მხარეს, ისიც ავტომატურად გადმოჰყვება წარსული გამოცდილებიდან და ალბათ მთავარ დადებით ნიშნად წამოწეული იქნება ისევ სწრაფი მართლმსაჯულება.

2020 წლის დასაწყისი მსოფლიოსათვის, COVID-19-ის გლობალური პანდემის დასაწყისი აღმოჩნდა, რომელიც იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ცხოვრების ყველა სფეროზე დიდი გავლენა მოახდინა. მსოფლიო ჯანდაცვის ცენტრები იუწყებიან, რომ წინ კიდევ დიდი დარტყმა ელოდება სახელმწიფოებს. მიუხედავად იმისა, რომ საბედნიეროდ ჩვენს ქვეყანაში ამ ეტაპზე მშვიდი ვითარებაა არავინ იცის წინ რა გველოდება. ამდენად ვფიქრობ კარგი იქნება თუკი მზად ვიქნებით მოსალოდნელ საფრთხესთან გასამკლავებლად. შეიძლება ვინმე ფიქრობდეს, რომ თუკი პანდემია ისევ გამძლავრდება და გადავალთ კვლავ საგანგებო მდგომარეობაზე, სასამართლოში მიმდინარე თუ განსახილველად ჩანიშნული საქმეები გონივრული ვადით გადაიდება, შეიძლება ვინმე იმასაც ფიქრობს, რომ თუკი კვლავ კომენდანტის საათი ამოქმედდება ან საერთოდაც ყველას თვითიზოლაციაში მოუწევს ყოფნა დანაშაულიც შემცირდება, ან საერთოდ არ იქნება, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ დანაშაულთა არცთუ ისე მცირე ნაწილი სწორედ ოჯახში ხდება. იმის ფონზე, რომ არა ერთ ქვეყანაში, მათ შორის

საქართველოშიც, განხილვის დონეზეა საგანმანათლებლო დაწესებულებების თუ სხვადასხვა ორგანიზაციების ელექტრონულ რეჟიმზე გადასვლა, კარგი იქნება მოხდეს სასამართლოში დასაქმებული პიროვნებების, ამასთანავე ადვოკატურისა და პროკურატურის თანამშრომლების გადამზადება. თავისთავად გადამზადება გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, გარდა ამისა თუ გავიხსენებთ წარსულ მდგომარეობას, როდესაც მოსამართლეებს იმდენად გაუჭირდათ საბეჭდო მანქანებთან გაომშვიდობება და კომპიუტერებზე გადასვლა, რომ საკუთარი ხარჯებით კვლავ ახორციელებდნენ სხდომის ოქმის ქალაქში ბეჭდვას, ფაქტია რთული იქნება ვირტუალურ სამყაროში პროცესებზე მორგება. სიახლეს მუდმივად თან ახლავს შიში მაგრამ, წინ გადადგმული გონივრული ნაბიჯები ამ გადამზადებების თვალსაზრისით მოგვცემს დადებით შედეგებს, რომლის მეშვეობითაც საგანგებო სიტუაციის მიუხედავად, ისე რომ საფრთხე არავის შეექმნება სამართლიანი და სწრაფი მართლმსაჯულება განხორციელდება შეუფერხებლად.

მეცნიერთა ნაწილი აცხადებს, რომ მსოფლიოს COVID-19-თან ერთად მოუწევს ცხოვრება. მიუხედავად ტექნოლოგიურად სწრაფი განვითარებისა დღევანდელი გადმოსახედიდან შეუძლებლად მიმაჩნია ყველა სფეროს ელექტრონულ რეჟიმზე გადასვლა. რუსეთის ფედერაციამ განახორციელა ცვლილება, რომლის მიხედვითაც არჩევნებსა და რეფერენდუმებზე ხმის მიცემა შესაძლებელი იქნება რუსეთის სახელმწიფო ფოსტის საშუალებით, სხვა დისტანციური და ელექტრონული საშუალებებით.<sup>34</sup> ხოლო საქართველოში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა რეკომენდაციები რომელიც მოქალაქეებს ავალდებულებს რომ სასამართლოსთვის მიმართვისას ისარგებლონ დისტანციური სერვისებით (მათ შორის, სასამართლო საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სერვისით ([www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)) და საქართველოს ფოსტით.<sup>35</sup> აუცილებლად მიმაჩნია გარკვეული სახის გადამზადება თანამშრომლების იმ კუთხით, რომ მზად დაგვხვდეთ პანდემიის მოსალოდნელ

<sup>34</sup> IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 15 ივნისი 2020 წელი.

[https://idfi.ge/ge/amendments\\_in\\_the\\_legislature\\_of\\_the\\_russian\\_federation\\_during\\_covid-19](https://idfi.ge/ge/amendments_in_the_legislature_of_the_russian_federation_during_covid-19)

<sup>35</sup> იუსტიციის საბჭოს რეკომენდაციის 2-ე ნაწილის „ბ“-ე ქვეპუნქტი. <http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghlesi-sabchos-rekomendatsiebi/3629> მარტი 13, 2020.

გამზვინვარებას, რათა შევძლოთ თავიდან ავიცილოთ საფრთხეები, რომელიც შესაძლოა მიადგეს სამართლიან პროცესს და სწრაფ მართლმსაჯულებას. ვფიქრობ ის ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონულად საქმეთა განხილვისათვის თანამშრომელთა მოასამზადებლად, გონივრული და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში არსებობს შეზღუდვები ხოლო სასამართლოში დაგეგმილი საჯარო ღონისძიებების, შეხვედრების, სასწავლო ვიზიტების, მოქალაქეთა მიღების, ასევე სამსახურეობრივი მივლინებების გადადება, გარდა აუცილებელი შემთხვევისა<sup>36</sup>. აქიდან გამომდინარე გამორიცხულია თანამშრომელთა ერთობლივი გადამზადება, მაგრამ თავისუფლად შეიძლება დასაშვები რაოდენობის ეტაპობრივი მომზადება, ან ინტერნეტ სივრცეში, დისტანციურად დატრენინგება, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალიან რთული ფორმა, იმაზე დაყრდნობით, რომ თავად დისტანციურად მართლმსაჯულების განხორციელების ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებებით სწავლება ცალკე აღებული სიახლეა და საჭიროებს დეტალობრივ შესწავლას და მისი დისტანციურად შესწავლა წარმოშობს ქაოსს.

---

<sup>36</sup> საერთო სასამართლოს და სასამართლოს მომხმარებელთათვის დადგენილი გასათვალისწინებელი რეკომენდაციები: 1-ლის „ი“ პუნქტი. მარტი 13, 2020.  
<http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghlesi-sabchos-rekomendatsiebi/3629>

## თავი V. კვლევის შედეგები

### 5.1 დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ამოცანას წარმოადგენდა სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების განხილვა საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებაში. როგორც შესავალში ავლინებთ მიუხედავად იმისა, რომ ყველა პრინციპს აქვს განსხვავებული შინაარსი, ისინი მოქმედებენ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება წარმოადგენს არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პრინციპებს არამედ ერთ მთლიანობას. აქედან გამომდინარე ნაშრომში შესწავლილი იქნა, რამდენად შეესაბამება აღნიშნული პრინციპი საპროცესო შეთანხმების საფუძველს და დადგინდა, რომ ცალკე აღებული სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე მთლიანად მორგებულია საპროცესო შეთანხმება, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით სამართლიან პროცესთან მიმართებაში. საერთო ჯამში კი ჩნდება ლოგიკური კითხვა, რითი შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საპროცესო შეთანხმება წინააღმდეგობაშია ძალიან ბევრ ძირითად პრინციპთან და თანხვედრაშია სწრაფი მართლმსაჯულების უფლებასთან, რომელიც ერთ-ერთი პრინციპის, კერძოდ სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების ნაწილია?

ნაშრომში გამოკვლეულია მართლმსაჯულების გაჭიანურების ძირითადი პრობემები, როგორც გამოიკვეთა ერთ-ერთ მიზეზს საქმეთა სირთულე წარმოადგენს. იურიდიულ ლიტერატურაში კი დამკვიდრებულია აზრი, რომ სწორედ მსგავს დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად დაინერგა საპროცესო შეთანხმება ქართულ კანონმდებლობაში.

ნაშრომზე მუშაობისას დიდი ყურადღება დაეთმო, გარემოებას, თუ რამდენად უწყობს ხელს საპროცესო შეთანხმება, საქმეთა გონივრულ ვადებში განხილვას, მაშინ როცა კანონმდებლობა ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ნებისმიერ ეტაპზე. ყველაფრის მიუხედავად რეალობა ცალსახად გვიჩვენებს, საპროცესო შეთანხმების ქართულ კანონმდებლობაში დანერგვის, როგორც უარყოფით, ასევე დადებით მხარეებს და საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ის არის სწრაფ მართლმსაჯულების გაუმჯობესებისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯი.

ნაშრომის III თავში წარმოდგენილია საპროცესო შეთანხმების არსი და მისი განვითარების ისტორია საქართველოში. შესწავლილია საზოგადოების უნდობლობის საკითხი საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. შედარებითი სამართლებრივი კვლევის საფუძველზე წარმოდგენილია სამეცნიერო ბაზაში არსებული არაერთი იურისტის ნაშრომი, რომელთა კრიტიკის თუ დადებითი შეფასების ობიექტიც გამხდარა საპროცესო შეთანხმება 2000 წლიდან დღემდე საქართველოში, ამასთანავე განხილულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული რეალობა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. როგორც აღმოჩნდა საზოგადოების ნაწილის უნდობლობას იწვევს არაერთგვაროვანი პრაქტიკა, ის ფაქტიც, რომ ბუნდოვანია რა სახის დანაშაულზე შეიძლება გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება და პროკურორისათვის ფართო დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, რომელსაც მართალია კანონმდებლობა ცალსახად არ ანიჭებს, მაგრამ პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ ერთი და იმავე დანაშაულზე ინიშნება განსხვავებული ოდენობის ჯარიმა და სასჯელის ზომა. მოცემული თავი პასუხობს საზოგადოების აქტუალურ შეკითხვებს, დაზარალებულისა და ბრალდებულის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. წარმოდგენილია უშუალოდ მხარეებისა და მოქმედი მოსამართლეების დამოკიდებულება კანონმდებლობაში ბუნდოვან ჩანაწერებთან და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. განხილულია იურდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებები, რომ საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს ბრალდებულის მასტიმულირებელ ნორმას, მაგრამე ეს პოზიცია სრულად გასაზიარებელი არ გახლავთ, გამომდინარე იქიდან, რომ საპროცესო შეთანხმება წარმოშობს ნასამართლეობს.

IV თავი მთლიანად დაეთმო ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას და მართლმსაჯულების ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებებით განხორციელებას. ელექტრონული მართლმსაჯულების საქართველოში განვითარების ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ რაც არც თუ ისე შორეულ წარსულში წარმოუდგენელი იყო უკვე კარგად დანერგილი და მორგებულია დღევანდელ რეალობას. 2020 წელს მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, სახელად COVID-19, მასთან საბრძოლველად კი სხვა სახელმწიფოებთან ერთად ჩვენს ქვეყანაშიც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ხოლო 2020 წლის 23 მარტის დაგდენილებით განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი დადგინდა ელექტრონულ საქმისწარმებასთან მიმართებაში, არაერთი სახელმწიფო ორგანო გადავიდა დისტანციურ მუშაობის ფორმაზე.



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების ინტერნეტკომუნიკაციის წყაროს საშუალებით გაფორმებას უნდა ითქვას რომ, ეს საპროცესო შეთანხმების მთავარ მიზანს, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, კიდევ უფრო სწრაფს და მოქნილს გახდის. მაგრამ ნაშრომში აღნიშნულთან დაკავშირებით მსჯელობისას გამოყენებულია განცხადებები, საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოების პროცესების დახურვასა და სხვა ხარვეზების შესახებ, ასევე საკონსტიტუციო სამართლის, 2020 წლის უახლესი, სპეციალური გამოცემა, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო შეთანხმების ინტერნეტკომუნიკაციის წყაროების მეშვეობით გაფორმებას უფრო მეტი უარყოფითი შედეგები მოჰყვება, ვიდრე დადებით. იმ შენთხვევაში თუკი კანონმდებლობით ჩამოყალიბდება კონკრეტული დანაშაულები, რომელზედაც შესაძლებელი იქნება საპროცესო შეთანხმების გაფორმება, მაშინ მსჯელობა მისი დისტანციურად გაფორმების შესახებ უფრო მისაღები იქნება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია დაცული იქნეს სასამართლო პროცესების საჯაროობა, რადგან სრულად არ შეიზღუდოს პროცესების საჯაროობის პრინციპი. აუცილებელია სასამართლო მონიტორების და სხვა დაინტერესებული პირებისათვის პროცესებზე მეთვალყურეობის შესაძლებლობის პირობების შექმნა და შეუფერხებელი დისტანციური წვდომა თითოეულ პროცესზე. ყველაფერთან ერთად კი იმ სირთულეების თავიდან აცილების გეგმის დასახვა, რაც შეიძლება პროცესების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლას მოჰყვეს. ამდენად აღნიშნული საჭიროებს კიდევ უფრო ღრმა კვლევას, თუკი ამ საკითხზე სამომავლოდ ვინმე შეაჯერებს ყურადღებას, რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია მსგავსი პროცესების ჩანაწერების ნახვას, რადგანაც ერთია გადმოცემით, როდესაც იღებ ინფორმაციას და მეორე, უპირატესი, როცა თავად ხარ თვითმხილველი, რისი შესაძლებლობაც პირადად არ მომეცა, ამიტომაც რთულია კონკრეტული განცხადებების გაკეთება.

მოეხსენებათ, რომ საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციები ავრცელებენ ინფორმაციას ვირუსის მოსალოდნელ გამლიერებასთან დაკავშირებით, ამდენად ლოგიკურია პრევენციული გზების ძიება, თუ როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ მას ისე, რომ საფრთხე არ მიადგეს ადამიანის ძირითად უფებებს და თავისუფლებებს, სამართლიან პროცესსა და სწრაფ მართლმსაჯულებას. ცხადია საგანგებო ვითარების პირობებში მისასაღმებელია მართლმსაჯულების დისტანციური განხორციელება, რაც თავის მხრივ საუკეთესო თავდაცვის საშუალებაა, მაგრამ მისი სამომავლო პრაქტიკაში დანერგვა გაუმართლებლად მიმაჩნია. თუმცა დანამდვილებით ვერაფერს

იტყვი, რადგანაც თანამედროვე ტექნოლოგიები დღითდღე უმჯობესდება, ხოლო ყოველდღიურობა მეტწილად გადასულია ელექტრონულ პროცესებზე და ის, რაც დღეს წარმოუდგენლად გვეჩვენება შესაძლოა ახლო ან შორეულ მომავალში რეალობად იქცეს.

## გამოყენებული ლიტერატურა

### მონოგრაფიები

1. ა.ჯავახიშვილი, საპროცესო შეთანხმება საქართველოში. თბილისი, 2012 წელი.
2. ე.ბესელია, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი და ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტი. სტატიათა კრებული. თბილისი, 2005 წელი.
2. ე.დოლიძე, საპროცესო შეთანხმება საქართველოში- გამოწვევები და ტენდენციები, თბილისი, 2018წელი
3. ე.ციმაკურიძე, ბრალდებულის უარი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე,
4. თ.გეგეშიძე, ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებიდან მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართლის პროცესში გამოყენება- ქართული სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი, 2017 წელი
5. თ.დარჯანია, სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, თბილისი 2015წელი
6. ი.კოტეტიშვილი, საპროცესო შეთანხმება, შედარებითი მიმოხილვა
7. მოსამართლის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. (EMC) 2019.17-19.
8. ნ. კაციტაძე საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა საქართველოსი. თბილისი, 2008 წელი.
9. ნ.გვენეტაძე, მ.ტურავა, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი 2005 წელი.

10. ნ.ხერხეულიძე საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ნორმაშემოქმედების მიმართება სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპებთან-საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მაგალითზე.
11. ონიანი დ. საპროცესო გარიგება, 2008 წელი.
12. რ.გოგშელიძე, საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე? 2007 წელი.
13. ჭანტურიძე გ. საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესში, 2006 წელი.
14. ჭანტურიძე გ. საპროცესო შეთანხმების მიმართება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან. თბილისი, 2007 წელი.

#### უცხოური ლიტერატურა

15. М.С Строгович, Уголовное преследование в советском уголовном процессе
16. Б.Т белепкин комментарий к уголовно-процессуальному кодексу российской федерации 2019
17. Уголовно-процессуальное право российской федерации учебник

#### სასამართლო პრაქტიკა

18. Messitte Peter J, Plea Bargaining in Various Criminal Justice amaontevideo, Uruguay.
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა პარლამენტის წინააღმდეგ, Nac646, 30 ივლისი, 2015 წელი.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტება, ( საქმეზე #ა-988-ა-7-2011
21. Xv.France 1992

22. საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/8/594, 30 სექტემბერი, 2016

#### ნორმატიული აქტები

23. ადამიანის უფლებები და ძირითად თავისუფლებათ დაცვის კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი.

ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, შტეფან ტრექსელი, თბილისი 2009 წელი.

24. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

25. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით. ავტორათა კოლექტივი, თბილისი 2015 წელი.

26. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართლი, კერძო ნაწილი. 2017 წელი. ავტორთა ჯგუფი.

27. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი კერძო ნაწილი ჯ.გახოკიძე, ი.გაბისონია, გ.მამნიაშვილი. თბილისი 2015 წელი.

28. საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, თბილისი, 2018 წელი.

#### რეკომენდაცია:

29. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები, მარტი 13, 2020.

30. საერთო სასამართლოს და სასამართლოს მომხმარებელთათვის დადგენილი გასათვალისწინებელი რეკომენდაციები, მარტი 13, 2020.

ბრძანება:

31. საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, ბრძანება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. მარტი 13, 2020.

განცხადება:

32. კოალიცია, დამოუკიდებელი და ამჟირვალე მართლმსაჯულებისათვის, 2020 წლის 13 აპრილის განცხადება.

ვებ-გვერდები

33. <http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation>

34. [http://coalition.ge/index.php?article\\_id=198&clang=0](http://coalition.ge/index.php?article_id=198&clang=0)

35. <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22documentcollectionid%22:%5B%22GRAN%20DCHAMBER%22,%22CHAMBER%22%5D%7D>

36. <https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=home>

37. <https://idfi.ge/ge>

38. [http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenarulisxdomebi/plenaruli-sxdomebi\\_news/parlamentma-sagangebo-mdgomareobisgamocxadebis-sheaxebsaqartvelos-prezidentis-brdzaneba-daamtkica.page](http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenarulisxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/parlamentma-sagangebo-mdgomareobisgamocxadebis-sheaxebsaqartvelos-prezidentis-brdzaneba-daamtkica.page)

39. <https://www.constcourt.ge/ka/home>

40. <http://pog.gov.ge/>

41. <http://laterna.ge/>

42. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sssskkomentari.pdf>

43. <https://emc.org.ge/>

44. <https://fas.ge/Products/eDocument/About>

45. <http://www.supremecourt.ge/news/id/88>

46. [www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)

წერილი:

47. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 12 ივნისის N13/42398 წერილი

ჟურნალ-გაზეთები:

48. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულება N3, სამეცნიერ-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი, 2007 წელი.

49. New Yourk Times

50.ნეტ-გაზეთი02/06/2013

[https://netgazeti.ge/opinion/22391/?fbclid=IwAR3Pf7Fer\\_f9QJvCHc0UWirF2C6txScBey7at0sX9oucQ\\_bfwjxkMY57ytg](https://netgazeti.ge/opinion/22391/?fbclid=IwAR3Pf7Fer_f9QJvCHc0UWirF2C6txScBey7at0sX9oucQ_bfwjxkMY57ytg)

51.გაზეთი„პრემიერი“თ.კალანდაძე

<http://premeri.ghn.ge/com/news/view/827?fbclid=IwAR1Z0PAoxb8hlwzhJ5qXXfwwJQJVQdgtRZuFS0bopyM-QHpjYsoQJRshjo> .